

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Educational-Scientific Institute of Translation and Literary Relations

**მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი  
VII სამეცნიერო კონფერენციის  
შ ა ს ა ლ ე ბ ი**

**VII SCIENTIFIC CONFERENCE  
PROCEEDINGS  
DEDICATED TO THE INTERNATIONAL TRANSLATOR'S DAY**



**სექტემბერი  
2021**

**თბილისი/Tbilisi**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Educational-Scientific Institute of Translation and Literary Relations

მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი  
მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენციის  
მ ა ს ა ლ ე ბ ი

VII SCIENTIFIC CONFERENCE  
P R O C E E D I N G S  
DEDICATED TO THE INTERNATIONAL TRANSLATOR'S DAY

30  
სექტემბერი/September  
2021  
თბილისი  
Tbilisi

### **სარედაქციო კოლეგია:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი  
ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი  
ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი  
ფილოლოგიის დოქტორი სოფიო თოთიბაძე  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო ნასყიდაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი ივანე მჭედელაძე

### **Editorial Board:**

Professor Nana Gaprindashvili  
Associate Professor Ekaterine Navrozashvili  
Associate Professor Nino Tsereteli  
Doctor of Philology Sopio Totibadze  
Doctor of Philology Nino Naskidashvili  
Doctor of Philology Ivane Mchedeladze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021  
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2021

ISBN 978-9941-491-28-3 (pdf)

კომიკურის ენობრივი საშუალებების  
ქართულად თარგმანის ზოგიერთი ასპექტი

SOME ASPECTS OF THE TRANSLATION OF THE  
LINGUISTIC MEANS OF THE COMIC INTO GEORGIAN

მარინე ალექსიძე  
Marine Aleksidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პრაგმატული ინტენცია, კომიკური,  
კომუნიკაციური ეფექტი, თარგმანი, ადეკვატურობა.

**Keywords:** pragmatic intention, comic, communicative effect,  
translation, adequacy.



ტრანსლატოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სხვადასხვა თეორიული საკითხის განხილვა პრაგმატიკის ქრილში. დეფინიციის თანახმად, პრაგმატიკა შეისწავლის სინამდვილის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულების დამოკიდებულებას იმათ მიმართ, ვინც მათ იყენებს (ავტორი). შესაბამისად, მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს ავტორის სინამდვილისა და თავის თავის მიმართ რაღაც დამოკიდებულების გამოხატვას და ავტორის ეს დამოკიდებულება მიმართულია მკითხველზე ერთგვარი ეფექტის მოსახდენად. გარკვეული კომუნიკაციური ეფექტის მოხდენის, რეცეპტორზე პრაგმატული ზემოქმედების შესაძლებლობა ფორმირდება ავტორის მიერ შეტყობინების შინაარსის და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებების არჩევის შედეგად. ცხადია, მხატვრული ტექსტის პრაგმატული პოტენციალი არ არის რაღაც ერთიანი, მონოლითური, არამედ შედგება ტექსტის ელემენტების ნაკრებისაგან, რომელიც ჯამში, ავტორის ჩანაფიქრის თანახმად, იწყებს მკითხველზე გავლენის მოხდენას.

მიხეილ ბულგაკოვის რომან „ოსტატი და მარგარიტას“ პრაგმატული პოტენციალი, უდავოდ, ძალზე დიდია. ამასთან, მაინც შეიძლება გამოვყოთ ავტორის ძირითადი ინტენციები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ ნაწარმოებში.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რომანში უკავია კომიკურს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ტექსტის პრაგმატული ელემენტები, რომლებიც შეიცავენ კომიკურ კომპონენტს, ადეკვატურად იყოს გადმოცემული თარგმანის ტექსტში, რადგან პრაგმატული ინტენციების დამახინჯება იწვევს როგორც ცალკეული სიტუაციის არასწორად გაგებას, ისე თვით ავტორის ნიველირებას, ანუ მთლიანობაში თარგმანის ღირებულების დაქვეითებას.

მხატვრული ტექსტის შექმნისას ავტორი ეყრდნობა საზოგადოების მიერ შემუშავებულ ნაციონალურ, კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებს. ტექსტის თარგმნის დროს ხდება „ტექსტის ტრანსპონირება არა მარტო სხვა ენობრივ სისტე-

მაში, არამედ სხვა კულტურის სისტემაში“ (შვეიცერი, 1985:17). ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების თარგმანი არ არის უბრალოდ ერთი ნაწარმოების ხელმეორედ გამოხატვა სხვა ენის საშუალებებით, არამედ ამასთან ერთად ორიგინალის ენის კულტურის სპეციფიკური მახასიათებლების გააზრებაა, რომანის აზრობრივი კომპონენტების შინაარსის გაგება და ბოლოს მათი ასახვა სხვა ენის საშუალებებით. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მ. ბულგაკოვის რომან „ოსტატი და მარგარიტას“ სწორედ კომიკური ელემენტების თარგმანის განხილვა, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს, რაღაც დონეზე განვსაზღვროთ ქართული თარგმანის ორიგინალის მიმართ ადეკვატურობის ხარისხი, გამოვყოთ კომიკურის ის ელემენტები, რომლებიც ქმნიან ყველაზე დიდ სირთულეს თარგმანისათვის, და ასევე გამოვიტანოთ დასკვნა, თუ როგორ გავლენას ახდენს ორიგინალის პრაგმატული პოტენციალის შესაძლო ობიექტური დაკარგვა თარგმანის საერთო ღირებულებაზე.

მოხსენებაში განხილულია მ. ბულგაკოვის ორიგინალურ ნაწარმოებ „ოსტატსა და მარგარიტაში“ და მის ქართულ ენაზე თარგმანის ტექსტში კომიკური ეფექტის შექმნის კომუნიკაციურ-პრაგმატული საშუალებათა სისტემის შეპირისპირებითი აღწერის კვლევის შედეგები. პრაქტიკული ანალიზისათვის აღებული იყო ასი მაგალითი - კომიკური კომპონენტის შემცველი ელემენტები და მათი შესაბამისი ეპიზოდები თარგმანის ტექსტიდან. მოცემული მაგალითების არჩევის კრიტერიუმი მდგომარეობდა მათში კომიკური შინაარსის არსებობა იმის მიუხედავად, თუ რა სახის კომიკურს მიეკუთვნებიან (სასაცილო, ირონია, იუმორი, სატირა) ისინი. შეგროვილი მასალა დავყავით რამდენიმე ნაწილად, კომიზმის სახეობების შესაბამისად: ანტითეზა, ალოგიზმი, კლიშე, მდგომარეობის კომიზმი, ირონია (ავტორის გონებაბამახვილი კომენტარები), სიტყვათა უჩვეულო შეთანხმებები, სიტყვათა თამაში და სხვა. ანალიზის მიზანი იყო ორიგინალის ტექსტში კომიკურობის ელემენტების ადეკვატურობის დადგენა მათ შესაბამის ელემენტებთან თარ-



გმანში. მაგალითები განიხილებოდა ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე. ადეკვატურად თარგმნილი მაგალითების შეფარდება არაადეკვატურ მაგალითებთან წარმოდგენილია რიცხობრივი მაჩვენებლებით.

ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე რთულად ექვემდებარება თარგმანს მკვეთრი ნაციონალური ელფერის მქონე ელემენტები, ლაკუნების თავისებური სახეობები, ანუ ენის ელემენტები, რომელთაც არ გააჩნია ეკვივალენტები უცხო ენაში. აქედან მოდის ობიექტური შეუძლებლობა კომიკურის იმ კომპონენტთა გადმოცემა, რომლებშიც აღნიშნული ლაკუნები კომიკურის მატარებლები არიან.

### **ლიტერატურა:**

- კიაზიმოვი, გ.** – Kiazimov, G. (2004). Teoria komicheskogo (problema jazykovykh sredstv i priemov) Ваку. [Кязимов, Г. Теория комического (проблема языковых средств и приемов. Баку].
- კომისაროვი, ვ.** – Komisarov, V. (1990). Teoria perevoda (lingvisticheskie aspekty). Moskva. [Комиссаров, В. Теория перевода (лингвистические аспекты). Москва].
- შვეიცერი, ა.** – Schweitzer, A. (1985). Sotsiologicheskie osnovy perevoda // Voprosy jazykoznanija, 5, 15-24. ISSN 0373-658X. [Швейцер, А. Социологические основы теории перевода // Вопросы языкознания, 5. с. 15-24].

At the present stage of development of translatology, it is important to consider various theoretical issues through the prism of pragmatics. According to the definition, pragmatics studies the relationship of linguistic units denoting reality to the one who uses them (the author). Respectively, a work of fiction is an expression of a certain attitude of the author to reality and to himself, and this expression of the author is aimed at achieving a certain effect on the reader. The ability to produce a certain communicative effect,

to carry out pragmatic effects on the receptor, is formed as a result of the author's choice of the content of the message and the way of its expression by linguistic means. It is obvious that the pragmatic potential of a literary text is not something unified, monolithic, but consists of a certain set of text elements, which in their sum, according to the author's intention, begin to influence the reader.

The pragmatic potential of Mikhail Bulgakov's novel "The Master and Margarita" is undoubtedly enormous. At the same time, it is still possible to single out the main intentions of the author, which are leading in the work. And one of the central places in the novel is the comic, therefore it is extremely important that the pragmatic elements of the text containing the comic component are adequately conveyed in the translation text, since the distortion of pragmatic intentions leads both to a misunderstanding of individual situations and to the leveling of the author himself, i.e. to reducing the value of the translation as a whole.

When creating a literary text, the author relies on national, cultural and historical traditions developed by society. When translated, the text "is transposed not only into another language system, but also into the system of another culture". This means that the translation of a work of fiction is not just a re-expression of one work by means of another language, but also an understanding of the specific features of the culture of the original language, an understanding of the meaning of the significant semantic components of the novel and, finally, their reflection by means of another language. Based on this, it seems very important to consider the translation of the comic elements of the novel by M.A. Bulgakov "The Master and Margarita", since this will allow, to some extent, to determine the degree of adequacy of the Georgian translation to the original, highlight those elements of the comic, which are the most difficult for translation, as well as to draw a conclusion about how the possible objective loss of some pragmatic potential of the original affects the overall value of the translation.

The report examines the results of a study on a comparative

description of the system of communicative-pragmatic means of creating a comic effect in the original work of M.A. Bulgakov's "The Master and Margarita" and the text of its translation into Georgian. For practical analysis, 100 examples were selected from the original text - elements containing a comic component - and the corresponding passages of the translated text. The criterion for the selection of these examples was the presence in them of some comic content, regardless of what type of comic it belongs to (funny, irony, humor, sarcasm). The collected material was divided into several parts in accordance with the types of comic: antitheses, illogisms, clichés, comic position, irony (witty comments by the author), an unusual combination of words, wordplay and so on. The purpose of the analysis is to establish the adequacy of the elements of the comic in the original text to the corresponding elements in the translation. Consideration of examples is carried out on the basis of lexical and semantic analysis. The ratio of adequately translated examples to inadequate ones is presented in quantitative terms.

The analysis showed that the most difficult to translate are elements bearing a bright national color, peculiar types of lacunae, i.e. units of a language that do not have direct equivalents in a foreign language. Hence the objective impossibility of conveying those components of the comic, in which these gaps are carriers of comic.

## References:

- Kyazimov, G.** (2004). Teoria komicheskogo (problema jazykovykh sredstv i priemov). [Comic theory (problems of linguistic means and techniques). Baku: Takhsil].
- Komisarov, V.** (1990). Teoria perevoda (lingviisticheskie aspekty). [Translation theory (linguistic aspects). Moscow: Visshaya Shkola].
- Schweitzer, A.** (1985). Sotsiologicheskie osnovy perevoda [Sociolinguistic Foundations of Translation, Voprosy jazykoznanija, 5, 15-24. ISSN 0373-658X].



თექსტის რეცეფცია და მთარგმნელის  
ინტერპრეტაცია  
PERCEPTION OF THE TEXT AND THE INTERPRETATION  
OF THE TRANSLATOR

მარინა ანდრაზაშვილი  
Marina Andrazashvili  
ნატალია ბასილაია  
Natalia Basilaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პირველწყარო, პირველმკითხველი,  
მთარგმნელის რეცეფცია, ინტერპრეტაცია.

**Keywords:** the original source, the first reader, perception of the translator,  
interpretation.



სამკომპონენტიანი მოცემულობა: ტექსტი → მთარგმნელი → მკითხველი არაერთხელ ქცეულა თარგმანმცოდნეობაში აღწერის ობიექტად თეორიულსა თუ პრაქტიკულ პლანში და, ბუნებრივია, ვერც წინამდებარე გამოკვლევა შეძლებდა მისთვის გვერდის ავლას. შევეცდებით, უპირველესად ქვემოთმოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობით დავასაბუთოთ შემოთავაზებული პუბლიკაციის ორიგინალობა და აქტუალობა: ა) ანალიზის ობიექტად შევარჩიეთ ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი ნაწარმოები – გერმანელი მწერლის, ვოლფგანგ ბორხერტის (Wolfgang Borchert; \*1921 ჰამბურგი – †1947 ბაზელი), ომისშემდგომი პერიოდის ნოველა „მონყენილი გერანიები“ (Die traurigen Geranien); ბ) შერჩეული ნოველის დედანი ვიკვლიეთ კონტრასტულ პლანში, კერძოდ, ქართულ- და რუსულენოვან თარგმანებთან შეპირისპირებით; გ) საექსპერიმენტო მასალის დანიშნულებით გამოვიყენეთ თსუ გერმანისტიკისა და სლავისტიკის განხრის სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანები; დ) პარალელები გავავლეთ სტუდენტების თარგმანსა და ინტერნეტწყაროებში მოძიებულ ორ რუსულენოვან თარგმანს შორის, რომელთაგან პირველი არის ავტორიზებული თარგმანი, შესრულებული ებრაული წარმომავლობის რუსულენოვანი პოეტის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის, არკადი რავიკოვიჩის (Аркадий Равикович), მიერ, მეორე – მანქანური, შესრულებული ლექსიკოგრაფიული ცენტრის Longman Dictionary of Contemporary English ციფრული ბაზის რესურსებზე დაყრდნობით; ე) ზემოხსენებული სამკუთხედიდან კვლევისთვის რელევანტურად მივიჩნიეთ მხოლოდ პირველი ორი კომპონენტი – ამოსავალი ტექსტი, როგორც ლიტერატურული პირველწყარო და მთარგმნელი, როგორც ტექსტის პირველმკითხველი და ინტერპრეტატორი.

ხანმოკლე იყო ბორხერტის ცხოვრება, გაუსაძლისი – ფრონტზე გატარებული წლები, ასახული მის მიერ ომისა და

„დაკარგული თაობის“ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში. მისი პროტოტიპები – ომგამოვლილი, ტრავმირებული ადამიანები – ვერ ერგებიან ომისშემდგომი გერმანიის ვითარებას ვერც მორალურ პლანში და ვერც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამ საერთო კონტექსტიდან რამდენადმე „ამოვარდნილია“ ჩვენ მიერ შერჩეული ნოველა, მიძღვნილი ადამიანთა შორის ურთიერთობის მარადიული პრობლემებისადმი: ინტერესთა კონფლიქტისადმი, იმედის გაცრუებისადმი, მარტოსულობისადმი. ძნელია ცალსახად თქმა იმისა, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ „მონყენილი გერანიები“, მიუხედავად მთელი თავისი სენტიმენტებისა, რატომღაც მაინც დარჩა ლიტერატურათმცოდნეთა და მთარგმნელთა მხედველობის მიღმა.

ნოველის პროტაგონისტები – ქალი და მამაკაცი, არაპერსონიფიცირებული, ნაცვალსახელებით მოხსენიებული არსებანი, მაშინ პოულობენ ერთმანეთს, როცა გარეთ უკვე ბინდია, ვიზუალურად კი მაშინ აღიქვამენ ერთმანეთს, როცა დღის შუქზე (სავარაუდოდ, ერთად გატარებული ღამის შემდეგ) საუბრობენ. კაცი ახლალა აღმოაჩენს ქალის უფორმო, ასიმეტრიულ-ნესტოებიან, მუქკანიან ცხვირს, რომელიც ვერაფრით მოდის შესაბამისობაში სახესთან და ღიზიანდება. მერე ცდილობს, გამართლება იმით მოუძებნოს, რომ პიკასოც სწორედ ასიმეტრიულების პრინციპს მიმართავდა ფიგურის შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად; მაგრამ ქალი საუბარში ვერ ყვება, მას არც პიკასო სმენია, ვერც საკუთარი ცხვირის ასიმეტრიულობას უძებნის ახსნას; იცის მხოლოდ, რომ ცხვირი მუდამ ასეთი იყო, და კიდევ ის, რომ სამაგიეროდ თვითონ არის შინაგანად სრულიად სხვანაირი, ყველაფერში ჰარმონიული, ტრადიციული ოჯახის შექმნის მომხრე, ამას ფანჯრის რაფაზე სიმეტრიულად შემოდგმული გერანიის ქოთნებიც მოწმობს – ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ. ქალის გამჭოლი მზერა კაცის კეფამდე აღწევს; კაცს სული ეხუთება, ოფლი ასხამს, ნაჩქარევად ემშვიდობება ქალს; ქუჩაში რამდენჯერმე ჩერდება, ცხვირსახოცით



ინმენდს შუბლს, სახეზე სიცილის გრიმასა აღებეჭდება. ქალი ფანჯრიდან გაჰყურებს მიმავალს, კაცის სიცილს კი ვერ ხედავს, რადგან თვალები მისთვის ცრემლებს დაუბინდავს. სევდა გერანიებსაც გადასდებიან.

ნოველაში იკვეთება ორი ხაზი, რომელთა ერთმანეთთან დაახლოებაც კი წარმოუდგენელია: კაცი → ცხვირი, ლტოლვა თავისუფლებისკენ, არაორდინარულობა, სიცილის გრიმასა || ქალი → სიმეტრიულობა, ჰარმონიულობა, ოჯახის შექმნის სურვილი, აცრემლებული თვალები, მოწყენილი გერანიები. იბადება წყება კითხვებისა: როგორია ნოველის მთარგმნელი-სეული რეცეფცია – ობიექტური თუ მიკერძოებული? აღიქვამს ის მოცემულობებს ადეკვატურად თუ სუბიექტურად? მისდაუნებურად ხომ არ იხრება ან ერთი, ან მეორე პერსონაჟისკენ, შესაბამისად კი, უკვე ინტერპრეტირებულ თარგმანს ხომ არ სთავაზობს მკითხველს, დავუშვათ, საკუთარ წარმოსახვასა თუ გამოცდილებაზე დაყრდნობით? რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ამ კონკრეტულ ნოველაში „მიკერძოებულობის ეფექტი“ ამოსავალი და სამიზნე ენას თანაბრად დაუფლებული პირის მიერ? ყველა ამ და კიდევ სხვა კითხვის ირგვლივ ვითარდება მსჯელობა მოხსენების ექსპერიმენტულ ნაწილში, რომელიც ეფუძნება სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანის შეპირისპირებით ანალიზს ზემოხსენებულ რუსულენოვან თარგმანებთან.

### **ლიტერატურა:**

**ბოჩხეჩი, ვ.** - Borkhert, V. (1967). *Die traurigen Geranien*. Reinbek bei Hamburg: Rowohlt Taschenbuch Verlag.

**ბორხერტი, ვ.** - Borkhert, V. Pechal'nyye gerani. [Борхерт, В. Печальные герани. Равикович, А. <https://stihi.ru/2016/10/30/6959>].

**ბორხერტი, ვ.** - Borkhert, V. (2011). Pechal'nyye gerani. Opublikoval LONGMAN [Борхерт, В. Печальные герани. *Опубликовал LONGMAN*: <https://smartfiction.ru/index.html%3Fp=1665.html>].

Three components of one entity: *text* → *translator* → *reader* have been in the focus of translation studies both in the theoretical and practical plane. This is the case with the given paper. Based on the arguments given below, we attempt to justify the originality and topicality of the research: 1. The object of the analysis is the story “The Sad Geraniums” (Die traurigen Geranien) by a German writer Wolfhang Borchert (\*1921 Hamburg - †1947 Basel). This story is yet unknown to the Georgian reader; 2. The authors analyze the original text of the story in comparison with its Georgian and Russian translations; 3. The experimental material has been obtained from the translations made by our students; 4. Comparison is made between the translations made by our students and two Russian translations available on the internet, out of which one is authorized, made by Arkadi Ravikovich, Russian-speaking poet, criticist and translator of Jewish origin, and the other is a machine translation performed by the Lexicographic Center using the digital base of Longman Dictionary of Contemporary English; 5. Out of the above-mentioned triangle, we focus on the first two components – the original text, as a literary source, and the translator, as the first reader and interpreter of the text.

Borchert’s life was short; the unbearable years spent at war are reflected in his works dedicated to “The Lost Generation”. His prototypes – people suffering both morally and physically from the traumatic experience of war – cannot adjust to the post-war situation in Germany. The story selected for our analysis does not completely fit within this general context. It is dedicated to the eternal problems in human relationships: radical difference in interests, disillusionment, loneliness. It is hard to say why, despite its sentiments, “The Sad Geraniums” was not paid due attention by literary critics and translators.

The protagonists – the woman and the man – non-personified creatures denoted by pronouns, find each other at dusk and perceive each other visually only when they have breakfast (presumably after

spending the night together). The man is irritated because he discovers the woman's misshapen, asymmetrical, dark-skinned nose, so unsuitable for her face. He tries to justify this by saying that Picasso applied asymmetry for revealing the inner world of the figure. Yet, the woman fails to understand him. She has not heard of Picasso, and is unable to explain the asymmetry of her nose. She only knows that her nose has always been like that and that she has a completely different inner world: harmonious, aspiring for having a traditional family. This is proved by the Geranium pots placed symmetrically on the window-sill. The man is irritated by the woman's penetrating glance. He suffocates and sweats, and hurriedly takes his leave. In the street, he stops several times, cleans his forehead with a handkerchief and sighs with a grimace of relief. The woman looks at him, but she cannot see his grimace, because of tears in her eyes. Her sadness passes on to the geraniums.

The story is an intermixture of two seemingly incompatible lines: man → nose, aspiration to freedom, grimace || woman → symmetry, harmony, desire to have a family, tears in the eyes. Hence, the questions: is the story perceived by the translator objectively or subjectively? Does the translator perceive the data adequately, or does he/she involuntarily support one of the characters? Does the translator offer his interpretation based on his/her own experience? What are the criteria for the assessment of bias by a person with equal knowledge of the original and target languages? These and other issues are discussed in the experimental part of the paper which offers comparative analysis of translations made by students and the above-mentioned two Russian translations.

#### **References:**

**Borchert, W.** (1967). *Die traurigen Geranien*. Reinbek bei Hamburg: Rowohlt Taschenbuch Verlag. [The sad geraniums. Reinbek near Hamburg: Rowohlt Taschenbuch Verlag].

**Borchert, W.** Pechal'nyye gerani. [The Sad Geraniums]. Ravikovich, A.  
<https://stihi.ru/2016/10/30/6959>.

**Borchert, W.** Pechal'nyye gerani [The Sad Geraniums]. Opublikoval  
[Published] LONGMAN / 19.01.2011 (23.08.2021). [https://smartfiction.ru/  
index.html%3Fp=1665.html](https://smartfiction.ru/index.html%3Fp=1665.html).

ვაჟა-ფშაველას 1880-1890-იანი წლების  
პუბლიცისტიკა

VAZHA-PSHAVELAS' JOURNALISM  
IN THE 1880S-1890S

ლევან ბებურიშვილი  
Levan Beburishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა, ქართული  
პუბლიცისტიკა, ვაჟა-ფშაველა.

**Keywords:** Georgian literature, Georgian journalism, Vazha-Pshavela.



პუბლიცისტიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელშიც მკაფიოდ ვლინდება მწერლის აზროვნების მასშტაბურობა, დიდი ერუდიცია, ფილოსოფიურ სიბრტყეზე საკითხების დაყენებისა და გადაჭრის უნარი. ვაჟა პუბლიცისტიკას, როგორც მწერლობის დარგს, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა: „სიმართლე მწერლობაში ორნაირად ითქმის, - წერდა იგი, - ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს, ერთი - პოეტურ-ბელეტრისტული და მეორე - პუბლიცისტური. საგანი ამათი ერთი და იგივეა - ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი ვსთქვათ ერთი და იგივე ქეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 400).

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ნააზრევი იდეურ-თემატური თვალსაზრისით ორგანულადაა დაკავშირებული მის მხატვრულ შემოქმედებასთან. ვაჟას, როგორც პუბლიცისტის, ინტერესები მეტად ფართო და მრავალფეროვანია. შეიძლება ითქვას, რომ მწერლის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მისი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილებს შორის გამორჩეულია 80-90-იან წლებში დაბეჭდილი ეპისტოლარული ფორმის წერილების ციკლი „წერილები მეგობართან“, რომელიც არაა შეტანილი მწერლის თხზულებათა არცერთ აკადემიურ გამოცემაში და რომლის იდენტიფიცირებაც ს. ლეკიშვილმა მოახდინა (ლეკიშვილი, 1969: 174-177).

1979 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მომზადებულ ერთტომეულში - „თხზულებანი“ (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები) - ლევან ქრელაშვილმა ეს ტექსტები გააერთიანა საერთო სათაურით - „წერილები მეგობართან“, დაალაგა ქრონოლოგიურად და გამოყო რომაული ციფრებით.

ამ წერილების მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა შევიქმნათ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მრწამსსა და მსოფლმხედველობაზე.

ვაჟას წერილებში საზოგადოებრივად აქტუალური არაერთი საკითხია განხილული როგორც ყოფით, ისე თეორიულ ქრილში.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალური პრობლემაა. აღნიშნულ საკითხს მწერალი უტრიალებს არა მხოლოდ თავის ეპიკურ პოეზიაში, არამედ პუბლიცისტურ წერილებშიც. აღნიშნული თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას „წერილების“ შესწავლა უფრო სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ეთიკურ პოზიციაზე ხსენებული საკითხის მიმართ. ვაჟას წერილების ანალიზი კიდევ ერთხელ ააშკარავებს მწერლის ინდივიდუალისტობის თაობაზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული თვალსაზრისების უსაფუძვლობას.

ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტის ერთ-ერთი საკვანძო თემაა განათლების პრობლემა. ვაჟა-ფშაველას, როგორც სამოციანელთა მოწაფეს, განათლების ცნება არ ესმის ვიწრო მნიშვნელობით, როგორც მხოლოდ ინტელექტუალური უნარების განვითარება და ცოდნის შეძენა. ვაჟა-ფშაველა აყენებს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ეროვნული აღზრდის საჭიროების საკითხს. საგანმანათლებლო სისტემა, მწერლის თვალსაზრისით, უნდა ემსახუროდეს ეროვნული აღზრდის, ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბების დიად მიზანს: პუბლიცისტს სანიშნოდ მიაჩნია ევროპული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც, მისი თქმით, ხელს უწყობს ადამიანის ღირსეულ პიროვნებად ფორმირებას, ნაციონალური სულით აღზრდას.

ვაჟა-ფშაველას წერილების ცენტრალური თემაა მისი თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივი სახე და ინტელექტუალური დონე. ძალზე საყურადღებო და თანამედროვეობის თვალსაზრისითაც აქტუალურია ვაჟა-ფშაველას დაკვირვებები ქართველი ახალგაზრდობის ზნეობრივი სახეზე. ვაჟა გულისტკივილს ვერ ფარავს იმის გამო, რომ მისი თანამედროვე ახალგაზრდობა მოწამლულია ეროვნული ნიჰილიზმით, მას



ადარ სწამს საკუთარი ერის სულიერი შესაძლებლობებისა, მისი კულტურისა და მწერლობისა.

ძალზე საინტერესო საკითხია ახლგაზრდა ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება სოციალური პრობლემებისადმი. ვაჟას „წერილები მეგობართან“ სწორედ იმ პერიოდში იბეჭდება, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის „მესამე დასი“ და ხალხოსნობა თანადათან გადაიზრდება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ვაჟა-ფშაველას წერილების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა პუბლიცისტის ჯანსაღი ეროვნული პოზიცია. მწერალი იმთავითვე უარყოფითად იყო განწყობილი იმ პოლიტიკური დაჯგუფებებისადმი, რომლებიც სოციალურ ფენათა დაპირისპირებას და, ამდენად, ეროვნული მთლიანობის რღვევას უწყობდნენ ხელს. საინტერესოდ მსჯელობს ვაჟა სოციალურ ფენათა ურთიერთობისა და ე. წ. „წოდებრივი სიჭიუტის“ საკითხებზე. მწერლის მიერ სოციალურ პრობლემათა მრავალმხრივი ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები ხშირად სადღეისოდაც ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკა საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისითაც. ვაჟას „წერილები მეგობართან“ დაწერილია მეტად სადა, ცოცხალი ენით და იგი თავისუფალია საგანგებო სტილიზაციისაგან. წერილებში ვაჟა ხშირად მიმართავს რიტორიკულ ფიგურებს. ამ სტილისტური ხერხების გამოყენებით პუბლიცისტი ახერხებს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას და ამა თუ იმ პრობლემის საგანგებო აქცენტირებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აფორიზმების, ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ხვედრითი წილი ვაჟა-ფშაველას „წერილებში“. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი აზროვნება ხალხური წიაღიდანაა ამოზრდილი.

## **ლიტერატურა:**

- ბებურიშვილი, ლ.** (2018). ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. თბილისი: „მერიდიანი“.
- ვაჟა-ფშაველა.** (1964). თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ვაჟა-ფშაველა.** (1979). თხზულებანი: ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ლექიშვილი, ს.** (1969). ვაჟა-ფშაველას უცნობი პუბლიცისტური წერილების სერია „ივერიის“ (1889-1893) ფურცლებზე. „მნათობი“, N 1.
- ტაბიძე, ნ.** (1978). წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ნონკოლაური, დ.** (2012). ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა. ვაჟა-ფშაველა - 150. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Journalism is an important part of Vazha-Pshavela's Literary creativity, which clearly shows the depth of the writer's thinking, his great erudition, ability to raise and solve issues on philosophical grounds. Vazha attached great importance to journalism as a field of literature: "Truth is expressed in literature in two ways," - he wrote, - "it has two forms, one poetic-fictional and the other - journalistic." The subject is the same - life, its events, the cause of these events and the result. They both tell the same truth, they follow the same path" (Vazha-Pshavela, 1964: 400).

Vazha-Pshavela's publicist ideas are organically related to his artistic work from an ideological-thematic point of view. Vaja's journalistic interests are very broad and diverse. It can be said that not a single important issue of the public life of Georgia of that period was left out of the writer's attention. Among Vazha-Pshavela's journalistic letters is the cycle of epistolary letters printed in the 80s and 90s, "Letters to a Friend", which is not included in any of the academic editions of the writer's works, and which was identified by S. Lekishvili (Lekishvili, 1969: 174-177).

In 1979, Levan Chrelashvili combined these texts into a single volume entitled "Essays" (Newly Discovered Works) prepared by Tbilisi University Press.

The significance of these letters is conditioned by the fact that without their consideration it is impossible to form a complete idea of the literary beliefs and worldview of the young Vazha-Pshavela.

In Vazha's letters, a number of socially relevant issues are discussed. The relationship between the individual and society is a central problem in Vazha-Pshavela's works. The writer addresses this issue not only in his epic poetry, but also in his journalistic letters. From this point of view, the study of Vazha-Pshavela's "Letters" gives us a more complete picture of the writer's ethical position. The analysis of Vazha's letters once again reveals the unfoundedness of the views expressed in Georgian criticism about the individualism of the writer.

One of the crucial topics in Vazha-Pshavela's journalism of the 80s and 90s of the nineteenth century is the problem of education. Vazha-Pshavela does not consider the concept of education in a narrow sense, as only the development of intellectual skills and the acquisition of knowledge. Vazha-Pshavela raises the need not only for personal but also for national upbringing. The education system, from the writer's point of view, should serve the honorable goal of national upbringing, the formation of national self-consciousness: he considers the European education system as an example, which promotes the formation and upbringing of a worthy person with a national spirit.

The central theme of Vazha-Pshavela's letters is the moral face and intellectual level of his modern youth. Vazha-Pshavela's observations on the moral face of the Georgian youth are very remarkable and relevant from the point of view of modernity. Vazha cannot hide his heartache because his the youth of his time is poisoned by national nihilism, they no longer believe in the spiritual capabilities of their own nation, its culture and literature.

A very interesting issue is the attitude of young Vazha-Pshavela towards social problems. Vazha's "Letters to a Friend" is published at the very time when the "Third Group" is coming to the public arena. From the very beginning, the writer had a negative attitude towards the political groups that contributed to the confrontation of the social strata and, thus, to the disintegration of national integrity. The conclusions drawn by Vazha-Pshavela as a result of a multifaceted analysis of social problems, in many cases, still retain their guiding significance today.

Vazha-Pshavela's journalism of the 80s and 90s is also interesting from an artistic point of view. Vazha's "Letters to a Friend" is written in a very simple language and it is free from extraordinary stylization. In his letters, Vazha often refers to rhetorical figures. Using these stylistic techniques, the writer manages to concentrate the reader's attention and give special emphasis to this or that problem.

### References:

- Beburishvili, L.** (2018). Etikuri p'roblematika Vazha-pshavelas shemokmedebashi. Tbilisi: „meridiani“. [Ethical Problems in Vazha-Pshavela's Literary Creations. Tbilisi: „Meridiani“].
- Vazha-Pshavela.** (1964). Tkhzulebani at t'omad, t'. IX. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.[Essays in ten volumes, vol. IX.Tbilisi: "Soviet Georgia"].
- Vazha-Pshavela.** (1979). Tkhzulebani: Akhlad gamovlenili nats'armoebebi. Tbilisi: Tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Essays: Newly Discovered Works. Tbilisi: Tbilisi State University Press].
- Lekishvili, S.** (1969). Vazha-Pshavelas utsnobi p'ublitsist'uri ts'erilebis seria „iveriis“ (1889-1893) purtslebze. mnatobi. N 1. [Vazha-Pshavela's unknown letters on the pages of "Iveria" (1889-1893). „Mnatobi“. N 1].

- Tabidze, N.** (1978). Ts'erilebi mkhat'vrul-p'ublitsist'uri ost'at'obis she-sakheb. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“. [Letters about artistic-journalistic mastery in Vazha-Pshavela - 150. Tbilisi: “Soviet Georgia”].
- Tsotskolauri, D.** (2012). Vazha-Pshavelas p'ublitsist'ik'a. Tbilisi: Tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba. [Journalism of Vazha-Pshavela. Vazha-Pshavela - 150].



ფარიბა ვაფის ბრმა და  
თვალებილი ჩიტები

FARIBA VAFI'S BLIND AND  
SIGHTED BIRDS

მზია ბურჯანაძე  
Mzia Burjanadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ფარიბა ვაფი, გენდერული თემატიკა,  
ემანსიპაცია.

**Keywords:** Fariba Vafi, gender issue, emancipation.





ფემინისტური თემა, ე.წ. ქალის საკითხი, დღესდღეობით გენდერულ პრობლემად ცნობილი მთელ მსოფლიოში, პატრიარქალურ აღმოსავლეთში უფრო გვიან მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის არეალში, ვიდრე დასავლეთში, თუმცა დაახლოებით იგივე გზა განვლო და დღევანდელ დღემდე მოვიდა. დღეს გენდერულმა საკითხმა სხვა დატვირთვა შეიძინა. გაჩნდა ახალი კითხვები: რა მოიტანა ემანსიპაციამ, როგორ განვითარდა ეს პროცესი და მიიღო თუ არა ქალმა ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდა?! არანაკლებ საინტერესოა, რა მისცა ამ მონაპოვარმა მამაკაცს, როგორც გენდერული ბალანსისა თუ დისბალანსის მასკულინურ ნაწილს?! რა ერგო მემკვიდრეობად მას პატრიარქალური სინამდვილიდან და რამდენად შეიცვალა მისი ცნობიერება?!

ვფიქრობ, თანამედროვე საზოგადოებისთვის (ისევე, როგორც ლიტერატურისთვის) საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს გენდერული ბალანსის აღდგენის თუ ახლებური დისბალანსის შექმნის პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ემანსიპაციის მონაპოვრების სიღრმისეული გააზრება.

თანამედროვე ირანელი მწერლის, ფარიბა ვაფის, რომანი „დასასრულის შემდეგ“ თანამედროვე ირანული საზოგადოებისთვის ბევრ აქტუალურ პრობლემას იტევს, თუმცა ჩემი დღევანდელი მოხსენება მათგან ერთს - გენდერულ პრობლემატიკას - შეეხება. ფარიბა ვაფი სწორედ ამ თვალსაზრისით გახდა პოპულარული თანამედროვე დასავლურ სამყაროში და, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი თუნდაც ერთი რომანის ამ ასპექტით განხილვა.

რომანში სხვადასხვა თაობის ქალების ცხოვრება და ამ ცხოვრებისადმი მიმართება ჩანს. უფროსი თაობის წარმომადგენელი - როიასა და ფათემეს დედა - თავს „ბრმა ჩიტს“ უწოდებს. „დარწმუნებული იყო, რომ ბრმა ჩიტია. ამბობდა, არ ვიცი, ან როდის გავთხოვდი და ან - რისთვისო“ (ვაფი, 2021: 118).

დროთა განმავლობაში ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობებისადმი მიმართება შეიცვალა. მომდევნო თაობები თავს ბრმა ჩიტებს აღარ უწოდებენ.

შეიცვალა მათი მოთხოვნები, მიმართება მოვლენებისადმი და, რაც მთავარია, საკუთარი სტატუსისადმი. ქალმა დაინახა, რომ მისი ტყვეობისა და სიბრძნის მიზეზი უსაფუძვლო მორჩილება და ძველ ადათ-ნესებზე დამოკიდებულებაა.

როიას თაობა უკვე დამოუკიდებლობისკენ მიილტვის. ბავშვობაშივე ჩნდება პროტესტის გრძნობა: „არ მინდა, თქვენსავით მხოლოდ ვრეცხო, ჩავიცვა, დავიხურო, გავთხოვდე და ბავშვები გავაჩინო. ყოველ წუთს მლანძღონ, მამცირონ. მე კი, ცხვარივით თავჩაღუნულმა, ხმაც არ ამოვიღო და ისე მოვკვდე, რომ ამ ქვეყნისა ვერაფერი გავიგო“ (ვაფი, 2021:32).

როია და მისი მეგობარი ნასრინი თვითგანვითარებაზე და ახალ ცხოვრებაზე ფიქრს იწყებენ. „ჩვენი სახლები და ცხოვრება გვევიწროვებოდა. საკუთარი მდგომარეობისა და გარემოცვის გამო ბუნდოვანი შფოთვა დაუსრულებელ უკმაყოფილებად გადაგვექცა“ (ვაფი, 2021:45).

გოგონები სამსახურს, ანუ ფინანსურ დამოუკიდებლობას, თავისუფლების გზად მოიაზრებენ. სამსახურის შოვნისთანავე „სიტუაციის პატრონებად“ იქცევიან - ოჯახები გაუცნობიერებლად ემორჩილებიან გოგონების ფინანსური დამოუკიდებლობის „ხიბლს“: „(ნასრინს) შეეძლო, ჩადრის ნაცვლად მანტო ეტარებინა და ისე ევლო. მამამისი აღარ იმჩნევდა. დედამისი აღარ მოითხოვდა, სახლის საქმე ეკეთებინა. ძალიან უცბად იქცა თანამედროვე გოგოდ და ოჯახის უფროსად“ (ვაფი, 2021:48).

ფაქტია, ემანსიპაციის მონაპოვრები - უფლებების გათანაბრება, ფინანსური და სხვა სახის დამოუკიდებლობა - აუცილებელი ატრიბუტებია, რომელთა გარეშე თანამედროვე ქალის ცხოვრება არც უნდა მოიაზრებოდეს. მაგრამ მოგვიანებით სხვა საკითხი დგება: ამ პროცესში ხომ არ დაგვეკარგა, ხომ არ გაგვისხლტა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი?!

ფარიბა ვაფის პერსონაჟებიც, დამოუკიდებლობის, ე.წ. თავისუფლების მფლობელნი, საკუთარი ცხოვრებისა და სულიერების ერთპიროვნული მმართველნი, გაუცნობიერებლად

ეძიებენ წარსულში დაკარგულ ფასეულობებს - მივიწყებულ ქალურ სანწყისა და ქალურ სურვილებს.

აღსანიშნავია, რომ რომანში საინტერესო ფსიქოლოგიურ სახეებად შემოჰყავს ავტორს ქალთა ემანსიპაციის ეპოქის მამაკაცი პერსონაჟები - ნასრინისა და მანზარის შეყვარებულები. აღმოსავლეთის პატრიარქალურ საზოგადოებაში აღზრდილ, მოგვიანებით კი დასავლურ ფასეულობებს ნაზიარებ კაცებში პროგრესული მხოლოდ საუბრებია, ხოლო ქცევით ისინი საუკუნოვანი ადათ-წესებისგან დაავადებული, ძველი ცნობიერების მონებად დარჩენილი, კომპლექსებისგან გამოჭმული ადამიანები არიან. როგორც ჩანს, პატრიარქალური ცნობიერებისგან დახსნა არა მხოლოდ საზოგადოების ფემინურ, არამედ მასკულინურ ნაწილსაც სასიცოცხლოდ სჭირდება, რომ არ დაირღვეს გენდერული ბალანსი და საზოგადოების ნებისმიერი წევრი სასურველ თავისუფლებამდე მივიდეს.

### **ლიტერატურა:**

**ვაფი, ფ.** (2021), „დასასრულის შემდეგ“. სპარსულიდან თარგმნა მ. ბურჯნაძემ. თბილისი: „ინტელექტი“.

In the patriarchal East, public interest towards gender issues arose much later than in the West. Yet, the East underwent almost similar development in this regard. Currently, the gender issue has acquired a new meaning. Hence, new questions have appeared: How did the process of emancipation develop? Have women achieved what they have been striving for? What was the effect of these achievements on men – the masculine side of gender balance or imbalance?! Has the male mentality changed?!

The issues of restoration of gender balance and the creation of a new imbalance are of great interest for the contemporary society (as well as literature).

In the novel “After the End”, written by a contemporary Iranian female writer Fariba Vafi, the above-mentioned issue is viewed from an interesting angle. The novel describes the lives and attitudes of women of different generations. The representative of the elder generation – Roya’s mother – calls herself a “blind bird”: “She was sure that she was a blind bird. She said she did not know when she got married and why” (Vafi, 2021: 118).

The attitude to marriage and family relationships has changed with time. The younger generation of women no longer view themselves as blind birds.

The attitude to different events and one’s own status has also changed. The women understand that the reasons for their slavery and blindness are unjustified obedience and attachment to outdated rules and customs.

Roya’s generation aspires to independence. From childhood, they have a sense of protest: “I don’t want to be like you: only washing, dressing myself, getting married and bearing children. I don’t want to be offended and humiliated all the time and remain silent and obedient like a sheep. I don’t want to die without being aware of this world” (Vafi, 2021:32).

Roya and her friend Nasrin consider that a job is a way to financial independence i.e. freedom. As soon as they get a job, they become “masters of the situation” – their families are unconsciously “charmed” by the girls’ financial independence: “(Nasrin) could wear a manteaux instead of a chador. Her father did not care. Her mother no longer ordered her to do the housework. Suddenly she turned into a modern girl and became the head of the family” (Vafi, 2021:48).

The achievements of emancipation – equal rights, financial or other kind of independence – are necessary attributes of the life of every contemporary woman. But this gives rise to a new issue: have we missed something important in the process?!

Fariba Vafi’s characters who have achieved the desired independence, i.e. freedom, unconsciously seek for the values lost in the past – the forgotten female essence and feminine desires.

The male characters of the novel are also of interest. They were brought up in the patriarchal oriental society, but later they became acquainted with Western values. Verbally, they express progressive ideas, but their behavior proves that they have preserved the complexes based on age-long customs and traditions and remain slaves of old mentality.

### **References:**

**Vafi, F.** (2021), „Dasarulis shemdeg“ (Sp'arsulidan targmna M. Burjanadzem), Tbilisi: „Intelekti“. [After the End“ (Translated from Persian by M. Burjanadze). Tbilisi: „Intelekti“].



ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ ახალი სიცოცხლე,  
როგორც ჰიპოტექსტისა ჰიპერტექსტისათვის  
მატიას ენარის რომან „კომპასში“

THE NEW LIFE OF AMEEN RIHANI'S "JUHAN" AS A  
HYPOTEXT FOR THE HYPERTEXT IN MATHIAS ENARD'S  
NOVEL "COMPASS"

დარეჯან გარდავაძე  
Darejan Gardavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** აღმოსავლურ-დასავლური თემა მხატვრულ  
ლიტერატურაში.

**Keywords:** the East-West theme in fiction.





მოხსენების მიზანია, მათიას ენარის, თანამედროვე ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის, მწერლისა და მთარგმნელის, გახმაურებულ პოსტმოდერნისტულ რომან „კომპასში“, რომელიც 2015 წელს გამოიცა და ამავე წელს გონკურის პრემია მიიღო, ამინ არ-რეიჰანის, არაბული ემიგრანტული ლიტერატურული სკოლის, – „მაჰჰარის“, – თვალსაჩინო ორენოვანი ლიბანელი ავტორის ერთ-ერთი ადრეული ტექსტის „ჯიჰანის“ კვალის გამოვლენა, მისი ინტერპრეტაცია, როგორც ინტერტექსტუალური დიალოგის ახალი ვარიანტისა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის პარადიგმა როგორც პრეტექსტს, ისე ჰიპერტექსტს გასდევს თავიდან ბოლომდე. ორივე ტექსტში აღმოსავლეთ-დასავლეთის ბინარული წყვილი ძალაუფლებისა და სიყვარულის, სხვისი დაუფლებისა და სხვაზე ბატონობის გზით მიღწეული ბედნიერების ისტორიებთანაა მჭიდროდ გადახლართული, პრეტექსტის (ჰიპოტექსტის) – ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ – ძირითადი აზრი გარკვეულწილად ტრანსფორმირებულია „კომპასში“, გარდა იმისა, რომ შეცვლილია მისი ისტორიულ-გეოგრაფიულ-დროითი კონტექსტი, თუმცა მთელი რიგი მინიშნებებით მაინც ადვილია მისი ამოცნობა.

„კომპასის“ ავტორის არჩევანიც ამ საუკუნის წინ, 1917 წელს ამერიკაში, ნიუ-იორკში გამოცემული ტექსტის სიუჟეტის გამოყენებისას, ვფიქრობ, სწორედ ეს აღმოსავლურ-დასავლური თემა უნდა ყოფილიყო, რადგან რომანი „კომპასი“ აღმოსავლეთმცოდნეობითი სპეციფიკით საოცრად დატვირთული, ინტერტექსტებით უხვად გაჯერებული ძალიან საყურადღებო ნაწარმოებია, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებებზეა აგებული.

## **ლიტერატურა:**

**რიჰანი, ამენ ფ.** - Rihani, Ameen F. (2011). Juhan, Lebanon: "Editions Dar An-Nahar", "Notre Dame University Louaize Press".

**ენარი, მ.** (2021). კომპასი. ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“.

The paper aims to reveal the traces of one of the early texts by Ameen Rihani (a Lebanese bilingual author and representative of Arabic Emigre Literary School “Mahjar”) the story of “Juhan” in the popular postmodern novel “Compass” by Mathias Enard (a modern French Orientalist, writer and translator), which was published in 2015 and awarded the Goncourt Prize in the same year. The presented scientific work also intends to interpret this text as a new variant of an intertextual dialogue.

The East-West paradigm follows both the pretext and the hypertext from beginning to end. In both texts, the East-West binary opposition is closely intertwined with the stories of happiness achieved through power and love, the possession of other, and domination over other. The main idea of the pretext (hypotext) of Ameen Rihani’s “Juhan” has been somewhat transformed into “Compass.” Although its historical, geographical and temporal context has changed, it is still easy to identify it with many hints and clues.

I believe that the choice of the author of “Compass” to employ the plot of the text published in New York in 1917, must have been the East-West theme. The novel “Compass” is loaded with the features characteristic of the Orient, richly saturated with intertexts built on the East-West controversy.

### **References:**

- Rihani, Ameen F. (2011). *Juhan*, Lebanon: “Editions Dar An-Nahar”. “Notre Dame University Louaize Press”.
- Enard, M. (2021). *Kompasi, prangulidan targmna Paata Javakhishvilma*. Tbilisi: gamomtsemloba „Diogene“. [Boussole. translated into Georgian by Paata Javakhishvili, Tbilisi “Publishing Diogene”].

ფასეულობაზეცვლილი სამყაროს  
იდურ-ესთეტიკური გამოქაბილი:  
გალაკტიონ ტაბიძის „პარალელური“ ტექსტები

IDEOLOGICAL-AESTHETIC ECHO OF THE VALUE-CHANGED  
WORLD: GALAKTION TABIDZE'S "PARALLEL" TEXTS

ნანა გაფრინდაშვილი  
Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სოციალისტური რეალიზმი, გალაკტიონ ტაბიძე,  
პარალელური ტექსტები.

**Keywords:** Socialist Realism, Galaktion Tabidze, parallel texts.



თანამედროვე ეპოქა დიდ ინტერესს იჩენს სოციალისტური რეალიზმისადმი. გადაიხედა არაერთი მიდგომა და კონცეფცია, ახლებურად შეფასდა სხვადასხვა ლიტერატურული ფაქტი და მოვლენა. ამ თვალსაზრისით გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობაც ფრიად საინტერესო მასალას გვანვდის.

გალაკტიონი ისევე, როგორც ნებისმიერი მწერალი, ვერ გაექცეოდა იმ გავლენას, რომელსაც მასზე ახდენს საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები. ამიტომ იგი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის დროს ვერასოდეს იქნებოდა სრულიად თავისუფალი. ზოგადად, აბსოლუტური თავისუფლება მხატვრულ შემოქმედებაში თითქმის მიუღწეველია, რადგან მწერალი ანგარიშს უწევს მკითხველს, მის ინტერესებს, გამოცემლობას, მის მოთხოვნებს და სხვ. მწერლის შემოქმედებაზე ღია თუ ფარულ კონტროლს აწესებს მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება: პირადული, სოციალური, ეკონომიკური ფაქტორები. საბჭოთა მწერალს ანგარიში უნდა გაენია, უპირველეს ყოვლისა, პარტიის ინტერესებისათვის, რადგან საბჭოთა გამომცემლები მკითხველის ინტერესებზე კი არ იყვნენ ორიენტირებული, არამედ პარტიის კურსზე. ცნობილია, რომ ამ ფაქტორმა მრავალი პანეგირიკული ნაწარმოები დააწერინა ქართველ მწერლებს.

გალაკტიონის ხელნაწერებში, რომლებიც მისი გერის, დავით ებანოიძის<sup>1</sup>, ოჯახში ინახება, დაცულია მისი 1958 წლის 3 ენკენისთვის დათარიღებული ორი ლექსის ხელნაწერი, რომლებსაც მსგავსი ფორმისა და იდეური მიზანდასახულობის გამო „პარალელური ტექსტები“ ვუწოდეთ. ერთის სათაურია

---

1 გალაკტიონ ტაბიძემ 1943 წელს იქორწინა პოლკოვნიკ დავით ებანოიძის ქვრივზე, ნინო კვირიკაძეზე, თუმცა ოფიციალურად ხელი მათ 1954 წელს მოაწერეს. ნინო კვირიკაძეს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა ორი შვილი: დავით ებანოიძე (დაბადებული თბილისში 1919 წელს, გარდაიცვალა 2014 წელს) და ნუნუ ებანოიძე (დაბადებული თბილისში 1924 წელს). პოლკოვნიკი დავით ებანოიძე კომუნისტებმა დახვრიტეს 1937 წელს.

„ლენინის დროშით“, მეორეს „1500 წელი“ ჰქვია და თბილისის 1500 წლისთავის ეძღვნება. ხელნაწერები შესრულებულია ფანქრით, საბჭოთა ტელეგრამების ბლანკის ღია ცისფერ ფურცლებზე. ისინი გადანერილია სუფთად, გარკვევით, აზის თარიღი და პოეტის საყოველთაოდ ცნობილი ხელმოწერა. „ლენინის დროშით“ ერთ ბლანკზე წერია, ხოლო „1500 წელი“ – ორ ბლანკზე. ცალკე ბლანკზე არის მოცემული შავი ხელნაწერი ლექსისა „ლენინის დროშა“, რომელზეც პოეტის გულმოდგინე შრომის კვალი ჩანს. რადგან ეს ლექსები ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის, მათი ტექსტებიც სრულად მოგვყავს:

„ლენინის დროშამ  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
წინ, წინ, სამშობლოვ,  
წინ, წინ!

ლენინის დროშით  
მარად,  
კაცობრიობის  
ფარად  
ინვევს მსოფლიოს  
კარად:  
წინ, წინ, სამშობლოვ,  
წინ, წინ!

მხედარო! ყოველ  
დროში  
მშვიდობისათვის  
ომში –  
წინ, წინ!

ლენინის  
დროშით  
ლენინის დროშით  
წინ, წინ!“

1958. 3 ენკენისთვე

-1500- წელი

„თბილისმა იცის,  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
წინ, წინ, თბილისო,  
წინ, წინ!

მარად ჟამს ყოველ  
დროში,  
მშვიდობისათვის  
ომში –  
დიდი ლენინის  
დროშით  
წინ, წინ,  
თბილისო, წინ, წინ!

ლენინის დროშით  
მარად,  
კაცობრიობის  
ფარად  
ინვევს მსოფლიოს  
კარად:  
წინ, წინ, თბილისო,  
წინ, წინ!

ასე, მზეა თუ  
თოში  
ქარიშხალში თუ  
თოვლში  
დიდი ლენინის  
დროშით  
წინ, წინ, თბილისო,  
წინ, წინ!

უახლესი თუ  
ძველი  
შენ ასე განვლე  
მწველი  
ათას ხუთასი  
წელი..  
წინ, წინ,  
თბილისო, წინ, წინ!

წლებს, როგორც ნაცარ-  
ტუტას-  
ვაბნევთ – როდესაც  
გვხუთავს.  
მაგრამ ამ  
ათას ხუთასს  
წლით გავსწიოთ წინ,  
წინ, წინ!“

1958. 3 ენკენისთვე

ამ ერთსა და იმავე დღეს დაწერილი ლექსებიდან, სავარაუდოდ, ჯერ „ლენინის დროშა“ დაიწერა, რადგან სწორედ მისი შავი ხელნაწერია შემორჩენილი, რომელზეც პოეტს ბევრი უმუშავია:



„მთელმა მსოფლიომ იცის,  
ჩვენი ზეცის და მიწის,  
ძალა მგზნებარე ფიცის,  
წინ, წინ!  
სულ წინ, წინ!  
წინ, წინ!“

როგორც ვხედავთ, პირველი სტროფის შავი ხელნაწერი საკმაოდ განსხვავდება საბოლოო ვარიანტისაგან. ამ შავი ხელნაწერისათვის გალაკტიონს გვერდით მიუწერია საბოლოო ვარიანტი<sup>1</sup> და შემდეგ კი უკვე მისი ანალოგიით შეუქმნია „პარალელური“ ტექსტი ლექსისა „1500 წელი“.

ვირტუოზული პოეტური ტექნიკა გალაკტიონ ტაბიძეს საშუალებას აძლევს, შექმნას მსგავსი ჟღერადობისა ფორმის მეორე „პარალელური“ სოცრეალისტური პოეტური ტექსტები, რომელთაგანაც პირველში („ლენინის დროშით“), თუ შეიძლება ასე ითქვას, სოცრეალისტური განწყობილებები ერთგვარი „სუფთა ფორმით“ არის მოცემული, მეორეში („1500 წელი“) კი – „გაზავებულია“ თბილისისა და სამშობლოს სიყვარულთან. როგორც მივუთითეთ, ლექსები 1958 წლის 3 სექტემბრითა დათარიღებული, ანუ ისინი პოეტის გარდაცვალებამდე (1959 წლის 17 მარტი) 7 თვით ადრე დაიწერა. რასაკვირველია, ვერც პოეტი და ვერც საზოგადოება მაშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ სიკვდილის „ვარდისფერი გზა“ ასე ახლოს იყო. გასაოცარი ისაა, რომ, საყოველთაო აღიარების მიუხედავად, პოეტი მაინც ასე ფრთხილობდა და სოცრეალისტური კანონის დაცვით ქმნიდა ახალ ლექსებს.

---

1 „ლენინის დროშამ  
იცის,  
ძალა ზეცის და  
მიწის,  
ისმის ვით ძალა ფიცის:  
წინ, წინ, სამშობლოვ,  
წინ, წინ!“

## ლიტერატურა:

**ბაქრაძე, ა.** (1990). მწერლობის მოთვინიერება. თბილისი.

**გაფრინდაშვილი, ნ. მირესაშვილი, მ. წერეთელი, ნ.** (2010). სოციალისტური რეალიზმის თეორიული ისტორია: ქართული ლიტერატურის მაგალითზე. სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ერთეტიკური თავისებურებანი. წიგნი. I. თბილისი: „ნეკერი“.

**ჩარკვიანი, კ.** (1938). საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. მნათობი. #1.

**ჯავახაძე, ვ.** (2011). ვინ კითხავს გალაკტიონს? საარქივო მოამბე. # 10,

**ბორევი, ი.** – Borev, I. (2008). Sotsialisticheskiy Realizm: vzglyad sovremennika i sovremennyy vzglyad. Moskva. [Борев, И. Социалистический Реализм: взгляд современника и современный взгляд. Москва].

**ტერცი, ა.** – Terts, A. (1988). Chto takoye sotsialisticheskiy realizm. Parizh. [Терц, А. Что такое социалистический реализм. Париж].

**ფედოროვი, ფ.** – Fedorov, F. (1991). Sotsialisticheskiy realizm kak tip iskusstva. Daugavpils. [Федоров, Ф. Социалистический реализм как тип искусства. Даугавпилс].

The modern era shows a great interest in Socialist Realism. Numerous approaches and concepts were revised, a number of literary facts and events were newly evaluated. In this regard, the creative heritage of Galaktion Tabidze provides very interesting material.

Galaktion, like any other writer, could not escape the influence exerted on him by the prevailing views in society. Therefore, he could never be absolutely free during his creative activity. In general, absolute freedom in artistic creation is almost unattainable, because the writer takes into account the readers, their interests, publishing houses, their requirements, and so on. Many subjective or objective circumstances impose open or secret control over the writer's work: personal, social, economic factors. The Soviet writer had to be accountable, first and foremost, for the interests of the party, because Soviet publishers were not focused even on the interests of the read-

er, but on the course of the party. It is known that this factor led to a lot of panegyric works written by Georgian writers.

Galaktion's manuscripts, which are kept in the family of his step-son Davit Ebanoidze<sup>1</sup>, preserve his two poems dating back to September 3, 1958, which we call "parallel texts" because of their similar form and ideological purpose. One is entitled "The Lenin Flag", the other is called "1500 years" and is dedicated to the 1500th anniversary of Tbilisi. The manuscripts are done in pencil on the light blue sheets of Soviet telegram forms. They are copied cleanly, clearly, have the date and the poet's well-known signature. "The Lenin Flag" is written on one form, and "1500 years" is written on two forms. On a separate form is a black manuscript of the poem "The Lenin Flag", which shows traces of the poet's diligent work. Since these poems are less known to the public, we also bring their texts in full:

The Lenin Flag

"knows  
The power of heaven and earth,  
And we hear an oath:  
Go forward, my motherland  
Go!  
The Lenin flag  
Is a shield  
And the world  
is a gate  
Go forward, go,  
my motherland!

---

1 Galaktion Tabidze married Nino Kvirikadze, the widow of Colonel Davit Ebanoidze, in 1943, but they were officially signed in 1954. Nino Kvirikadze had two children from her first marriage: Davit Ebanoidze (born in Tbilisi in 1919, died in 2014) and Nunu Ebanoidze (born in Tbilisi in 1924). Colonel Davit Ebanoidze was shot by the communists in 1937.

The rider! For the peace  
Fighting all the times-  
Go forward, my motherland  
Go!"

September 3, 1957

....  
"1500 years"

Tbilisi  
knows  
The power of heaven and earth,  
And we hear as an oath:  
Go forward, Tbilisi  
Go!  
Everywhere and always,  
fighting for peace and life  
with the Lenin flag hoisting  
Go forward, Tbilisi  
Go!  
The rider! For the peace  
Fighting all the times-  
Go forward, my motherland  
Go!

Tbilisi always knows  
The power of heaven and earth,  
And we hear an oath:  
Go forward, Tbilisi  
Go!

Everywhere and always,  
fighting for peace and life

with the Lenin flag hoisting  
Go Tbilisi Go!

The rider! For the peace  
Fighting all the times-  
Go forward, my motherland  
Go!

The Lenin flag  
Is a shield  
And the world  
is a gate  
Go forward, Tbilisi, Go!

Whether the sun or rain  
Whether tempest or snow  
Hoisting flag of Lenin  
Tbilisi, go, go!

Whether ancient or new,  
you have lived many a year-  
a thousand and five hundred,  
Go, Tbilisi, go!

Years are like ashes-  
Throw them up and down  
thousand and five hundred  
years old, go- go!

September 3, 1958

Out of the poems written on the same day, “The Lenin Flag” was probably written first, because it was his draft manuscript on which the poet worked much:

The whole world now knows  
The power of a fiery oath  
Go forward, go go!  
Go forward, go go!

As we can see, the draft of the first stanza is quite different from the final version. Next to this draft, Galaktion wrote the final version<sup>1</sup>, and then, in its analogy, created a “parallel” text for the poem “1500 years”.

Virtuoso poetic technique allows Galaktion Tabidze to create “parallel” social-realist poetic texts with a similar sound form, in the first of which (“The Lenin Flag”), social-realist moods are given in a “pure form”, in the second (“1500 years”) the mood is more “diluted” with the love of Tbilisi and homeland. As mentioned, the poems are dated September 3, 1958, thus, they were written 7 months before the poet’s death (March 17, 1959). Of course, neither the poet nor the public at that time could have imagined that the “pink way” of death was so close. The astonishing thing is that, despite universal recognition, the poet was still so careful and composed new poems in accordance with socialist law.

### References:

**Bakradze, A.** (1990). Bakradze, A. (1990). *Mts'erlobis motviniereba*. Tbilisi. [Taming the Writing. Tbilisi].

**Charkviani, K.** (1938). *Sakartvelos sabch'ota lit'erat'ura uk'anask'neli khuti ts'lis mandzilze*. Mnatobi. №1. [Soviet Georgian Literature during the Last Five Years. “Mnatobi” №1].

---

1 The Lenin Flag  
knows  
The power of heaven and earth,  
And we hear an oath:  
Go forward, my motherland  
Go!

- Gaprindashvili, N., Miresashvili, M., Tsereteli N.,** (2010). Sotsialist'uri realizmis teoriuli ist'oria: kartuli lit'erat'uris magalitze. Sotsialist'uri realizmis ideur-estet'ik'uri taviseburebani. tts'igni. I. Tbilisi, Nek'eri. [The Theoretical History of Social Realism: On the Example of Georgian Literature. Ideological-aesthetic Peculiarities of Social Realism. Book I. Tbilisi, Neker].
- Javakhadze, V.** (2011). Vin k'itkhavs Galak't'ions? Saarkivo moambe, № 10, [Who will ask Galaktion? Saarkivo Moambe, № 10].
- Borev, I.** (2008), Sotsialisticheskiy Realizm: vzglyad sovremennika i sovremennyy vzglyad. Moskva. [Socialist realism: view of a contemporary and modern view. Moscow].
- Terts, A.** (1988). Chto takoye sotsialisticheskiy realizm. Parizh. [What is socialist realism. Paris].
- Fedorov, F .** (1991). Sotsialisticheskiy realizm kak tip iskusstva. Daugavpils. [Socialist realism as a type of art. Daugavpils].





„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების  
შედარებითი ანალიზი

A COMPARATIVE ANALYSIS OF THE ENGLISH  
TRANSLATIONS OF *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN*

მანანა გელაშვილი  
Manana Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსთაველი, თარგმანი, უორდროპი,  
ურუშაძე, კოფინი.

**Keywords:** Rustaveli, translation, Wordrop, Urushadze, Coffin.



ნაშრომში გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის“ სამი თარგმანი ინგლისურ ენაზე: მარჯორი უორდროპის (*The Man in the Panther's Skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912*), ვენერა ურუშაძისა (*The Knight in the Panther's Skin, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968*) და ლინ კოფინის (*The Knight in the Panther Skin, Turkey, Poezia Press, 2015*).

ამ თარგმანებს ერთმანეთისაგან ნახევარი საუკუნე აშორებს და სხვადასხვა მთარგმნელობით პრინციპებს ემყარება, შესაბამისად მიღებული თარგმანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საინტერესო მასალას წარმოადგენენ შედარებითი კვლევისთვის.

მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. მთარგმნელმა უარი თქვა სალექსო ფორმაზე, რადგან ჩათვალა, რომ ამით ნაწარმოების აზრობრივი მხარე დაზარალებოდა. თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც ოლივერ უორდროპს ეკუთვნის ვკითხულობთ: „ეს არის მცდელობა ამ წიგნის ერთგული, სიტყვასიტყვითი გადმოცემის. წიგნისა, რომელიც სარკვეა დიადი წარსულის მქონე კულტურული ერის.“ თარგმნის სირთულეებთან დაკავშირებით კი უპირველეს სირთულედ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის სიმდიდრესა და დიდ მოქნილობას ასახელებს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ვენერა ურუშაძეს მიერ შესრულებული თარგმანი, პოეტურ თარგმანს წარმოადგენს, რომლის გასამართად ავტორმა ჰეგზამეტრი გამოიყენა. წინასიტყვაობაში ვენერა ურუშაძე ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებულ განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ ინგლისურში, რომელიც ანალიზური ენაა, ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა ქართული ლექსის ფორმის იმიტირებისა საბედინერო იქნებოდა მთარგმნელისათვის.

ჰეგზამეტრის გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები: ინგლისელი მკითხელისათვის იგი ჰომეროსის ეპოსთან ასოცირდება და, ამდენად, „ვეფხისტყა-

ოსანიც” გარდასულ დღეთა დიადი ეპიკური ნაწარმოების განწყობას აღძრავს მასში. თუმც ამგვარი ტექსტი მძიმეა და ორგინალის ფორმისმიერი მშვენება, სილალე და მოქნილობა იკარგება, მაგრამ იგი დაკვირვებულ მკითხელს ორგინალის ტექსტის ეპიკურ დიდებულებასა და კეთილშობილებას ნამდვილად მიახვედრებს.

ლინ კოფინის თარგმანი პირველი თარგმანია, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი” გართმული, უფრო კონკრეტულად კი, იმავე სალექსო ფორმით, ანუ შაირით, არის თარგმნილი ინგლისურად. პოეტური ნაწარმოების თარგმნისას სალექსო ფორმის შენარჩუნება რომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ამას მტკიცება არ სჭირდება, თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რისი დათმობა უწევს ამის საფასურად მთარგმნელს და ამასთანავე სალექსო ფორმის უცვლელად გადატანა უცხო ენაზე, რამდენად წარმოქმნის იმ მხატვრულ ეკვივალენტს, რომლის შექმნაც თარგმანის ყველაზე დიდი მიზანი უნდა იყოს.

ლინ კოფინის თარგმანი, სამწუხაროდ, ადასტურებს ვენერა ურუშაძის მოსაზრებას, რომ ინგლისურ ენაზე ქართული სალექსო ფორმის იმიტირება პოემას დააკნინებდა. შაირის გადატანა ინგლისურ ენაზე შეუძლებელია და კალკირებულ ხელოვნურ ფორმას წარმოქმნის, რისი მიზეზიც ამ ორ ენასა და მათ ლექსთანყოფას შორის არსებული დიდი სხვაობაა.

სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ხდება თარგმნის პროცესში წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის (როგორიცაა: აფორიზმები, ვერბალური ალიტერაცია და სხვ.) გადაწყვეტა სხვადასხვა თარგმანში.

ანალიზმა ცხადყო, რომ მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი, მიუხედავად მთარგმნელის მოკრძალებული განაცხადისა, რომ მან მხოლოდ „სიტყვასიტყვითი თარგმანი“ გააკეთა, ოდნავადაც არ შეესაბამება ტექსტის ღირსებას, რომელიც ბევრად აღემატება „სიტყვასიტყვით თარგმანს“. მთარგმნელი ახერხებს, შეინარჩუნოს დედნის ხატოვანება, აფო-

რისტულობა და ამიტომ თარგმანი მხატვრული ღირსებით ასი  
წლის შემდეგაც არ კარგავს ზემოქმედების ძალას.

ჰეგზამეტრი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ლიტერატურაში თითქმის ოთხი საუკუნეა არსებობს, ინგლისური პოეზიისათვის მაინც არ წარმოადგენს ბუნებრივ ფორმას. ჰეგზამეტრით თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მძიმეა, მაგრამ, ამავე დროს, პოემა ეპიკურ დიდებულებას ინარჩუნებს.

შაირის ფორმით „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად ამეტყველების მცდელობამ ინგლისურ პოეზიაში უცხო და ხელოვნური სახე მიიღო. ამასთანავე, სალექსო ფორმის შენარჩუნებას ხშირად ეწირება პოემის აფორისტულობა, აზრის სიღრმე და პოეტური ხატოვანება. ხოლო თარგმანში თანამედროვე, სასაუბრო ინგლისური ენის გამოყენება ტექსტს ეპოქიდან ამოგდებულს ხდის და იგი იმ გალექსილი ზღაპრის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც ფილოსოფიური სიღრმე და ფორმისმიერი მშვენიერება აკლია.

### **ლიტერატურა:**

**ინგოროყვა, პ.** (1970). შოთა რუსთაველი. წინასიტყვაობა წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროყვას რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

**კოფინი, ლ.** – Coffin, L. (2015). *The Knight in the Panther Skin*, Turkey: Poezia Press.

**კოფინი, ლ.** – Coffin, L. (2016). *Seattle Poet Offers Epic 800 Years in the Making*. Iron Twine Press.

<https://irontwinepress.com/tag/georgian-poetry/>

**უორდროპი, მ.** – Wardrop, M. (1966). *The Man in the Panther's Skin*. A Romantic Epic by Shot'ha Rust'haveli, a close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. With a preface by Sir Oliver Wardrop.

**ურუშაძე, ვ.** – Urushadze, V. (1986). Rustveli. *The Knight in the Panther's Skin*. translated from the Georgian by Venera Urushadze. Tbilisi: “Sabchota Sakartvelo”.

The article gives a comparative analysis of three translations of the poem by Shota Rustaveli into English by Marjory Wardrop (*The Man in the Panther's Skin*, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912), by Venera Urushadze (*The Knight in the Panther's Skin*, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968) and by Lyn Coffin (*The Knight in the Panther Skin*, Turkey, Poezia Press, 2015).

Marjory Wardrop created a prosaic, 'word-for-word' translation of the poem, which is highly true to the original. The choice of the prosaic form, as Oliver Wardrop explains in the preface, was motivated by a great difference in the versifications of the target and source languages.

Venera Urushadze's translation is in hexameter. She also explains her choice by the differences in the prosody of the languages, which makes it impossible to recreate two and three-syllabled rhymes in English and points out the dangers of an attempt to imitate the verse-form of the poem.

Using a hexameter has its pros and cons. On the plus side, hexameter for the English reader is associated with Homer's poem and places *The Knight in the Panther's Skin* where it belongs, namely, to the genre of great epics. Consequently, although the text is somewhat heavy and loses much of the formal charm, the translation managed to retain the nobility and epic magnificence of the original.

Lyn Coffin's translation uses a rhymed sixteen-syllable verse-line. Needless to say that recreating the versification of the original is an extremely hard endeavour and an achievement. However, what should be taken into account is what is sacrificed for it and whether replicating the verse-form of the original helps to create an aesthetic equivalent of the original, which is the main target of any translation.

Sadly, the new poetic translation confirms Venera Urushadze's supposition that replicating the versification of the original would inevitably result in an artificial form.

A comparison of how various stylistic peculiarities of the original are recreated into English clearly revealed that although Marjory Wardrop modestly terms her work as only a 'word-for-word' trans-

lation, the term does not do justice to its aesthetic quality, which though prosaic renders the beauty of the original through the imagery and aphorisms. Wardrop's translation which is true to the text at the same time is true to the aesthetics of the poem.

Although hexameter counts a four-century existence in English poetry, it is still not organic to English versification. Thus, using this meter in the translation which first appeared in English due to Chapman's translation of Homer, created a text which has epic grandeur, but at the same time is heavy and lacks charm and beauty of the original.

Replicating a sixteen-syllable rhymed verse of the original poem in English resulted in creating an artificial form which, together with the usage of everyday language, made the poem look more like a rhymed tale which lacks the philosophical depth and poetic beauty of the original.

## References:

- Ingorokva, P.** (1970). Shota Rustaveli. Tsinasitqvaoba ts'ignshi: Shota Rustaveli, Vepkhist'q'aosani. P'avle Ingoroq'vas redaktsiit. Tbilisi: gamomtsemloba „Merani”. [Shota Rustaveli. Preface to the book: Shota Rustaveli, Vepkhistkaosani, Ed By P. Ingorokva. Tbilisi: Merani.].
- Coffin, L.** (2015). Shota Rustaveli. *The Knight in the Panther Skin*, Turkey: Poezia Press.
- Coffin, L.** (2016). Seattle Poet Offers Epic 800 Years in the Making. Iron Twine Press.  
<https://irontwinepress.com/tag/georgian-poetry/>
- Wardrop, M.** (1966). *The Man in the Panther's Skin*, A Romantic Epic by Shot'ha Rust'haveli, a close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. With a preface by Sir Oliver Wardrop.
- Urushadze, V.** (1986). Rustveli, *The Knight in the Panther's Skin*, translated from the Georgian by Venera Urushadze. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.





მხატვრული თარგმანი, როგორც შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემა:  
ქართულ-უკრაინული პროზაული

LITERARY TRANSLATION, AS A PROBLEM OF  
COMPARATIVE LITERATURE:  
A GEORGIAN-UKRAINIAN CASE

ივანე მჭედელაძე  
Ivane Mchedeladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა,  
ტრანსლატოლოგია, ქართულ-უკრაინული ურთიერთობები, თარგმანი.  
**Keywords:** comparative literature, translatology, Georgian-Ukrainian  
relations, translation.



თანამედროვე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინტერდისციპლინურ სპექტრში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია და თეორია. ქართულ-უკრაინულ შედარებით კვლევებში, რომელთა შესწავლის ტრადიცია ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა, განვითარდა თარგმანის შესწავლის მეტად მდიდარი ტრადიცია. ეს მასალა ასახულია როგორც ქართველი უკრაინისტების, ისე უკრაინელი ქართველოლოგების ნაშრომებში.

მოხსენებაში შესწავლილი იქნება ქართველ და უკრაინელ მეცნიერთა ის ნაშრომები, რომლებშიც განხილულია თარგმანის პრობლემები. ემპირიული მასალა გაანალიზდება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე თეორიათა შუქზე.

თარგმნილი ლიტერატურისადმი ინტერესი განსაკუთრებულად გაიზარდა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები ეკუთვნის პროფესორ ოთარ ბაქანიძეს. ოთარ ბაქანიძეს შესწავლილი აქვს როგორც ქართული ლიტერატურის უკრაინულენოვანი თარგმანები, ისე უკრაინული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია. მის თარგმანმცოდნეობით კვლევებში საგანგებო ყურადღება ეთმობოდა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულენოვან თარგმანებსა და რეცეფციის მრავალფეროვან საკითხებს. მეცნიერმა ამ საკითხს არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა, შეისწავლა უნიკალური საარქივო მასალა და ხელნაწერები. ოთარ ბაქანიძე ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სლავისტიკის სკოლის ტრადიციების კვალდაკვალ ავითარებდა უკრაინული ლიტერატურის შესწავლას, რომლის სქემაც ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს - როგორც ლიტერატურის ისტორია (ცალკეულ ავტორთა შემოქმედების ფუნდამენტური კვლევა), ხოლო მეორე ბლოკი - მისი ქართული რეცეფცია, თარგმანის ისტორია, მკითხველი აუდიტორიის რეაქცია. დღეს ამ მასალების შესწავლა და ხელახლა გაანალიზება მეტად ნაყოფიერია დასავლურ მეცნიერებაში მ. ესპანის, მ. ვერნერისა და სხვათა

მიერ შემუშავებული კონცეფციის - კულტურული ტრანსფერის თეორიულ კონტექსტში.

კომპარატივისტული ლიტერატურათმცოდნეობის, შედარებითი პოეტიკის, მხატვრული სტილის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის პროფესორ ალექსანდრე მუშკუდიანს, რომლის მონოგრაფიაში შესწავლილია უკრაინელი ავტორების პოეტური თარგმანები, მხატვრული პროზისა და დრამატურგიის თარგმანები მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის სემიოტიკურ სივრცეში. ალექსანდრე მუშკუდიანის კვლევა იმითაც არის საინტერესო, რომ მონოგრაფიის მეორე ნაწილში ასევე ფუნდამენტურადაა შესწავლილი ქართული ლიტერატურის თარგმანები უკრაინულ ორიგინალთან შეპირისპირებით. ანგარიშგასაწევი კვლევები ეკუთვნის უკრაინაში მოღვაწე მეცნიერსა და მთარგმნელს, რაულ ჩილაჩავას, რომლის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ნაშრომები ცალკე ფართომასშტაბიანი კვლევის საგანია.

უკრაინულ მეცნიერებაში ქართული მხატვრული პროზის უკრაინულენოვანი თარგმანების შესახებ ნაშრომები ეკუთვნის პროფესორ ლიუდმილა გრიციკს. ეს მისი სადისერტაციო ნაშრომია. მისი თარგმანმცოდნეობითი და კომპარატივისტული კვლევები მეტად გამრავალფეროვნდა უნიკალური/უცნობი მასალებით, რომლებიც თავად მეცნიერის მიერ არის მიკვლეული ევროპულ არქივებში (ე. მალანიუკის, ვ. დერჟავინისა და სხვათა მიერ შესრულებული თარგმანები ქართული ენიდან უკრაინულ ენაზე).

თანამედროვე ქართულ უკრაინისტიკაში (ნ. ნასყიდაშვილის, ს. ჩხატარაშვილის, ი. მჭედელაძის, რ. ჭანტურიშვილის ნაშრომები) კვლავ აქტუალურია როგორც კლასიკური და მეოცე საუკუნის, ისე ოცდამეერთე საუკუნის ქართული და უკრაინული ლიტერატურის თარგმანების, მთარგმნელობითი ურთიერთობების შესწავლა ლიტერატურის სოციოლოგიის, ტრანსლათოლოგიის, სამყაროს ენობრივი სახის ტრანსფორმაციების, ეროვნული კულტურული კოდის, ეგოტიზმების, ავტორისა და

მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის და სხვა კონცეფციათა კონტექსტში.

### **ლიტერატურა:**

- ბაკანიძე, ო.** – Bakanidze, O. (1984). Hruzyns'ko-ukrayins'ki literaturno-mystetski vzayemyu. Kyiv: vydavnytstvo khudozhnoyi literatury «Dnypro» [Баканидзе, О. Грузинсько-українські літературно-мистецкі взаємини. Київ: видавництво художньої літератури «Дніпро»].
- будний, в. ильницький, м.** – Budnyy, V. Il'nyts'kyu, M. (2008). Porivnyal'ne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychiy dim «Kyievo-Mohylyans'ka akademiya» [Будний, В., Ильницький, М. Порівняльне літературознавство. Київ: видавничий дім «Києво-Могилянська академія»].
- грицик, л.**– Hrytsyk, L. (2010). Ukrayins'ka komparatyvistyka: kontseptual'ni proektsiyi, Donets'k: Yuho-Vostok [Грицик, Л. Українська компаративістика: концептуальні проєкції, Донецьк: Юго-Восток].
- грицик, л.** – Hrytsyk, L. (1973). Gruzinskaya khudozhesvennaya proza v sovremennikh ukrainskikh perevodakh . Avtoreferat dissertatsii na soiskaniye uchenoy stepeni kandidata filologicheskikh nauk, Kiyeu [Грицик, Л. Грузинская художественная проза в современных украинских переводах. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Киев].
- мушкудіані, ол.** – Muškudiani, Ol. (1986). Z istoriyi ukrayins'ko-hruzyns'kykh literaturno-kul'turnykh vzayemyn XIX - pochatku XIX st. Kyiv: Naukova Dumka [Мушкудіані, Ол. З історії українсько-грузинських літературно-культурних взаємин XIX- початк XX ст.. Київ: Наукова Думка].
- топер, п.** – Toper, P. (2000). Perevod v sisteme sravnitel'nogo literaturovedeniya. Moskva: Naslediye. [Топер, П. Перевод в системе сравнительного литературоведения. Москва: Наследие].
- сиваченко, г.** – Sivachenko, G. (2019). Kul'turnyy transfer – nova metodologiya komparatyvistyky. Slovo i Chas, 3 <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778> [Сиваченко, Г. Культурний трансфер – нова методологія компаративістики. Слово і Час, 3. <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>]

The history and theory of translation and literary relations occupy an important place in the modern interdisciplinary comparative literature. Georgian-Ukrainian comparative studies, the research of which has been developing for decades, have started a very rich tradition of studying translation. This material is reflected in the works of both Georgian Ukrainologists and Ukrainian Kartvelologists.

The paper studies those works of Georgian and Ukrainian scholars which discuss the problems of translation. Empirical material will be analyzed in the light of modern theories of comparative literature.

Interest in translated literature has grown particularly since the seventies of the twentieth century. Landmark works in this regard belong to Professor Otar Bakanidze. Otar Bakanidze studied both the Ukrainian translations of Georgian literature and the history of translating Ukrainian literature into Georgian. In his translation studies, special attention was paid to the Ukrainian translations of "The Knight in the Panther's Skin" and the different issues concerning its reception. The scientist devoted a number of important studies to this issue, studying unique archival material and manuscripts. Otar Bakanidze, together with the development of the traditions of the Georgian School of Literary Slavic Studies, established the research of Ukrainian literature, the scheme of which can be divided into two parts: the history of literature (fundamental research of the works of individual authors), and the second part consists of the Georgian reception, translation history and readers' reaction. Today the study and reassessment of these materials is highly productive when considered in the theoretical context of the concept of cultural transfer developed by M. Espan, M. Werner and so on.

Important research on comparative literature, comparative poetics, and the transformation of artistic style belongs to Professor Alexandre Mushkudiani, whose monograph explores the poetic translations of Ukrainian authors, translations of fiction and drama in the semiotic space of Georgian culture of the late nineteenth and early twentieth centuries. Alexandre Mushkudiani's research is

also interesting as the second part of the monograph fundamentally studies the translations of Georgian literature in contrast to the Ukrainian original text. Accountable research belongs to Raul Chlachava, a scholar and a translator working in Ukraine, whose rich and varied works are the subject of a separate large-scale study.

The works on Ukrainian translations of Georgian fiction in Ukrainian science belong to Professor Lydmila Hrytsyk. This is her dissertation. Her translation and comparative studies have been greatly diversified by unique / unknown materials, which have been traced by the scientist herself in the European archives. The materials include translations from Georgian into Ukrainian by E. Malanuk, V. Derzhavin and others.

The study of both classical 20<sup>th</sup>-21<sup>st</sup> century translations of Georgian and Ukrainian literature and translation relations (works by N. Naskidashvili, S. Chkhatarashvili, I. Mchedeladze, R. Chanturishvili) are still relevant in Georgia in the contemporary Ukrainian studies in the context of the national cultural code, egotisms, individual style of the author and translator.

## References:

- Bakanidze, O.** (1984), Hruzyns'ko-ukrayins'ki literaturno-mystetski vzayemyny. Kyiv: vydavnytstvo khudozhnoyi literatury «Dnypro» [Georgian-Ukrainian literary-cultural relations. Kyiv: Publishing house "Dnipro"].
- Budnyy, V., Ilnytskyy, M.** (2008). Porivnyal'ne literaturoznavstvo. Kyiv: vydavnychiy dim «Kyyevo-Mohylyans'ka akademiya» [Comparative literature criticism. Kyiv: Publishing house "Kievo-momylyanska akademiya"].
- Hrytsyk, L.** (2010). Ukrayins'ka komparatyvistyka: kontseptual'ni proektsiyi, Donets'k: Yuho-Vostok [Ukrainian comparative literature: conceptual projections. Donetsk: Yugo-Vostok].
- Hrytsyk, L.** (1973). Gruzinskaya khudozhesvennaya proza v sovremennikh ukrainskikh perevodakh . Avtoreferat dissertatsii na soiskaniye uchenoy stepeni kandidata filologicheskikh nauk, Kiyev [Georgian literature in contemporary Ukrainian translations. Phd theses synopsys, Kyiv].

- Mushkudiani, A.** (1986). Z istoriyi ukrayins'ko-hruzyns'kykh literaturno-kul'turnykh vzayemyn XIX - pochatku XIX st.. Kyyiv: Naukova Dumka [The history of Ukrainian-Georgian literary-cultural relations, Kiyv: Naukova Dumka].
- Toper, P.** (2000). Perevod v sisteme sravnitel'nogo literaturovedeniya. Moskva: Naslediye [Translation in the system of comparative literature. Moskva: Naslediye].
- Syvachenko, H.** (2019) Kul'turnyy transfer – nova metodolohiya komparatyvistyky. Slovo i Chas, 3 <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778> [Cultural Transfer as a New Methodology of Comparative Research on Cooperation of Cultures. Slovo i Chas, 3. <https://il-journal.com/index.php/journal/article/view/442/778>]



აბრაამ მამისტვალოვის  
ერთი თარგმანის შესახებ

ABOUT ONE TRANSLATION  
BY ABRAAM MAMISTVALOV

ეკატერინე ნავროზაშვილი  
Ekaterine Navrozashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლიური პოეზია, „შირ ჰაშირიმი“, აბრაამ  
მამისტვალოვი, ქართული თარგმანი, „ლექსთა ლექსი“.

**Keywords:** Biblical Poetry, “Shir Hashirim”, Abraam Mamistvalov, Georgian  
translation, “The Poem of Poems”.



აბრაამ მამისთვალავის თარგმანის მიხედვით, „ლექსთა ლექსი“ (წიგნის ებრაული სახელწოდებაა „šir hašširím“, ხოლო ქართულში დამკვიდრებული ტრადიციული სათაურით – „ქებათა ქება“) „თანახის“ (ძველი აღთქმის) ერთ-ერთი წიგნია. ჟანრის თვალსაზრისით, იგი პოეტურ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება და 12 სხვა წიგნთან ერთად ძველი აღთქმის მესამე ნაწილში – „ქეთუვიმში“, ანუ წერილებში, ერთიანდება. როგორც იუდაისტურ, ისე ქრისტიანულ კანონში ტექსტი მოთავსებულია „სოლომონის იგავებისა“ და „ეკლესიასტეს“ შემდეგ, რომელთა ავტორობაც ისრაელის მესამე მეფეს, სოლომონს, მიეწერებოდა. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით დღეისათვის გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქებათა ქების“ ენა ბიბლიაში შემავალი პროზაული ტექსტებისგან განსხვავდება ლექსიკით, სიტყვათა სემანტიკით, ფორმითა და სინტაქსური რელაციებით. ტექსტი დიალოგებსა და მონოლოგებს შეიცავს და 8 თავისაგან შედგება.

წიგნი საინტერესოა არა მარტო ისტორიითა და განმარტებებით, არამედ – სხვადასხვა ენაზე შესრულებული თარგმანებითაც და მათ შორის – ქართული თარგმანებით. შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიის არც ერთი წიგნი არ თარგმნილა ქართულ ენაზე იმდენჯერ, რამდენჯერაც – „ქებათა ქება“. მეოცე საუკუნეში წიგნი ქართულ ენაზე თარგმნეს: გერცელ ბააზოვმა, ნათან ელიაშვილმა, გრიგოლ ფერაძემ, ზურაბ კიკნაძემ, იცხაკ დავიდმა, შალომ დავიდმა და აბრაამ მამისთვალავმა. „ქებათა ქების“ თოთოეულ თარგმანს განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიურ წიგნთა ქართულად თარგმნის ისტორიაში.

მოსხენებაში განვიხილავთ წიგნის აბრაამ მამისთვალავისეულ თარგმანს, რომელიც 1994 წელს ისრაელში გამოიცა. წიგნი ორენოვანია, ერთვის მთარგმნელის წინასიტყვაობა და წიგნის ბოლოს შენიშვნების განმარტებები.

როგორც აღვნიშნეთ, ებრაულად წიგნს ეწოდება „šir hašširím“; აბრაამ მამისთვალავისავე განმარტებით, „ქებათა

ქება“ არ არის პოემის სათაურის ზუსტი თარგმანი, ებენ შოშანის ლექსიკონის მიხედვით, „šir“ განმარტებულია, როგორც: 1. სიტყვიერ-მუსიკალური ნაწარმოები (სიტყვები და მელოდია); 2. გართული ან გაურითმავი პოეტური ნაწარმოები, ხოლო თვით „შირ ჰაშირიმ“ – სახელწოდება პოეტური წიგნისა. ა. ე. გრაფოვის ბიბლიის ლექსიკონში „šir“ – ის ეკვივალენტად სიმღერა გვხვდება, შესაბამისად, ტექსტის სახელწოდების ზუსტი თარგმანია *სიმღერა სიმღერათა* ან *ღეჟი ღეჟსთა*. რუსი ებრაელი მთარგმნელისა და მკვლევრის – იაკობ ეიდელკინდის მოსაზრებით, «Выражение «Песнь песней» означает «лучшая из песен», ანუ საუკეთესო სიმღერათა შორის. აბრაამ მამისთვალოვის განმარტებით, „ტექსტს სახობთო ლექსის მიმართულება აქვს და არა ხობთისა...“, ამიტომ მის შესატყვისად „ლექსთა ლექსი“ გამოიყენა. მიუხედავად იმისა, რომ „ლექსი“ ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტია ებრაული „šir“-ისა, სათაურში მაინც გვხვდება გარკვეული ტიპის ცვლილება, კერძოდ, წინადადების წევრები ინვერსიული წყობითაა წარმოდგენილი.

აბრაამ მამისთვალოვის თარგმანი შესრულებულია თეთრი ლექსით. აზრის უკეთ გადმოცემის მიზნით, ზოგიერთ მუხლში ფრჩხილებში მოცემულია და, შესაბამისად, დამატებულია სიტყვა-გამოთქმები. მაგალითად, პირველი თავის მეთხუთმეტე მუხლში: „დაგვიჭირეთ ეს მეღიები,/ჰატარ-ჰატარა მეღიები,-/მავნებლები ვენახებისა,/ ჩვენს ვენახებში კი (ჩანს) ისრიმი“, ან მეოთხე თავის მეთექვსმეტე მუხლში: „იფხიზლე (ქარო), ჩრდილოეთისა,/ და მოდი (ქარო), სამხრეთისაო...“ და ა.შ.

აბრაამ მამისთვალოვს სხვა დამატებებიც შეუტანია თარგმანში. მდედრობითი და მამრობითი სქესის გადმოცემის მიზნით, მუხლებს წამძღვარებული აქვს მოქმედ პირთა სახელები: მწყემსი, შულამითი. მოქმედ პირთა გამოყოფის ტრადიცია დასტურდება წიგნის უძველეს ხელნაწერებში – ოშკისა და საბას ბიბლიაში, თანამედროვე თარგმანებიდან – ნათან ელიაშვილის თარგმანში (ნ.ელიაშვილის თარგმანში ამ თვალსაზრისით დაშვებულია შეცდომები, არეულია მონოლოგის

წარმომთქმელ პირთა სახელები და როგორც თავად აბ. მამისთვალოვიც მიუთითებს, ზოგი ადგილი ბუნდოვანი დარჩა).

წარმოების მცირე მოცულობის მიუხედავად, მასში არაერთი ონომასტიკური ლექსიკური ერთეული გვხვდება. თარგმანის თეორეტიკოსთა განმარტებით, თარგმანში დასაშვებია საკუთარი სახელების თარგმანი, ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია. აბ. მამისთვალოვის თარგმანში შენარჩუნებულია ებრაული ანთროპონიმებისა და ტოპონიმების ჟღერადობა. მთარგმნელს უმეტესად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის გზით გადმოაქვს სახელები: შელომო, შულამითი, ირუშალაიმი, ციონი და ა.შ.

მოხსენებაში განვიხილავთ, ასევე, ტექსტის სტრუქტურის მაორგანიზებელი საშუალებების თარგმანში გადმოტანის ხერხებს; ვისაუბრებთ, თუ როგორ დაძლია და შეძლო აბ. მამისთვალოვმა დედნისეული ყველა ამ თავისებურების თარგმანში გადმოტანა და შენარჩუნება.

### **ლიტერატურა:**

**გრაფოვი, ა.ე.** – Grafov, A. E. (2019). Slovar' bibleyskogo ivrita. Moskva. [Графов, А. Э. Словарь библейского иврита. Москва].

**ეიდელკინდი, ი. დ.** – Eydel'kind, Y. (2014). Pesn' pesney. Perevod i filologicheskiy kommentariy k glavam 1-3. Rossiyskiy gosudarstvennyy humanitarnyy universitet. Institut vostokovedeniya Rossiyskoy akademii nauk. Orientalia et Classica: Trudy Instituta vostochnykh kul'tur i antichnosti. Vypusk 53. Moskva. [Эйделькинд, Я. Д. Песнь песней. Перевод и филологический комментарий к главам 1-3. Российский государственный гуманитарный университет. Институт востоковедения Российской академии наук. Orientalia et Classica: Труды Института восточных культур и античности. Выпуск 53. Москва].

**მამისთვალოვი, აბ.** (1994). „ლექსთა ლექსი“.

**წერეთელი, კ.** (2001). ბიბლიის ებრაული: გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

**ნიბახაშვილი, გ.** (2000). თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

According to Abraam Mamistvalov's translation, "The Poem of Poems" (the Hebrew name of the book is „šir hašširím"; the title traditionally widespread in Georgian is "The Song of Songs" (literally – "the Praise of Praise") is one of the books of the Old Testament "Tanakh". It is of poetic genre and, together with 12 other books, belongs to the third part of the Old Testament "Ketuvim" i.e. letters. Both in the Judaic and Christian canons, the text comes after "Solomon's Fables" and "Ecclesiastes", presumably written by Solomon, King of Israel. However, currently there are different opinions regarding this issue.

It should be noted that the language of "The Song of Songs" differs from the prosaic texts of the Bible in its vocabulary, word meanings, form and syntactic relations. The text embraces dialogues and monologues and consists of 8 chapters.

The book has interesting history and definitions. It has been translated into different languages, including Georgian, and the translations are of great interest as well. None of the Biblical books has been translated into Georgian as many times as "The Song of Songs". In the 20<sup>th</sup> century, the book was translated into Georgian by: Gertzel Baazov, Nathan Eliashvili, Grigol Peradze, Zurab Kiknadze, Yitzhak David, Shalom David and Abraam Mamistvalov. Each of these translations plays a significant role in the history of Georgian translation of Biblical books.

The paper analyzes Abraam Mamistvalov's translation of "The Song of Songs", published in Israel in 1994. The translation is preceded by the author's preface and appended with comments and definitions.

As mentioned above, the Hebrew title of the book is „šir hašširím". According to Abraam Mamistvalov, "The Praise of Praise" is not the exact translation of the poem's title. According to Even-Shoshan Dictionary, „šir" has the following definitions: 1. Verbal-musical work (lyrics and melody); 2. Rhymed or unrhymed work of poetry, whereas „šir hašširím" itself denotes a book of poetry. A. E. Grafov's Biblical Dictionary defines „šir" as a song. Hence, the exact

translation of the title of the text is *The Song of Songs* or *The Poem of Poems*. According to a contemporary Jewish scholar and translator Jacob Eidelkind, “The phrase “Song of Songs” means “The Best of Songs””. According to Abraam Mamistvalov, „the text is of eulogistic genre, but it is not praise...“. Therefore, Mamistvalov used the term “The Poem of Poems”. Although “a poem” is a precise semantic equivalent of the Hebrew word „šir“, there is a certain alteration in the title, namely, the members of the sentence are represented in an inverted order.

Abraam Mamistvalov’s translation is made in the form of blank verse. For the purpose of accurate translation of the idea, there are additional words and phrases given in brackets after some verses. For instance, Verse Fifteen, Chapter One: “Catch for us the Foxes / little foxes,-/that ruin the vineyards,/ our vineyards (that can be seen) in bloom”, or Verse Sixteen, Chapter Four: “Awake (the wind) of North/ and come (the wind) of South...” and so on.

Abraam Mamistvalov made other additions in his translation. In order to denote male and female sex, he gave the names of characters before each verse: shepherd, Sulamyth. Separate mention of characters seems to be a tradition, which is proved by the ancient manuscripts of the Book – the Bibles of Oshki and Saba, as well as a contemporary translation made by Nathan Eliashvili (in this regard, there are errors in N. Eliashvili’s translation: the names of characters who utter monologues are mixed up, and, as A. Mamistvalov notes, some parts of the text are unclear).

Although the text itself is not bulky, it contains ample onomastic vocabulary. According to translation theoreticians, proper names may be translated, transcribed or transliterated in the translation. In A. Mamistvalov’s translation, Hebrew anthroponyms and toponyms are preserved in their original form. The translator mostly offers proper names in transcribed or transliterated form: შელომო (Shelomo), შულამითი (Shulamyth), ირუშალაიმი (Jerusalem), ციონი (Zion) and so on.

The paper also analyzes the means used for the translation of structural elements of the text: alliteration, assonance, anaphora, anadiplosis and paronomasia; the paper underlines how the translator managed to cope with the difficulty of preserving all these peculiarities of the original text.

## References:

- Grafov, A.E.** (2019). Slovar' bibleyskogo ivrita. Moskva . [The Dictionary of Old Hebrew. Moscow].
- Eidelkind, Y. D.** (2014). Pesn' pesney. Perevod i filologicheskiy kommentariy k glavam 1–3. Rossiyskiy gosudarstvennyy gumanitarnyy universitet. Institut vostokovedeniya Rossiyskoy akademii nauk. Orientalia et Classica: Trudy Instituta vostochnykh kul'tur i antichnosti. Vypusk 53. Moskva. [The Song of Songs. A Translation and a Philological Commentary on chapters 1–3. Russian State University for the Humanities. Institute of Oriental Studies of the Russian Academy of Sciences. Orientalia et Classica: Papers of the Institute of Oriental and Classical Studies, Issue 53. Moscow].
- Mamistvalov, A.** (1994), „Leksta leksi“ [“The Poem of Poems”].
- Tsereteli, K.** (2001), Bibliis ebrauli: gramatika, krestomatia, leksikoni. Tbilisi: „Tbilisis universitetis gamomtsemloba“. [Biblical Hebrew: Grammar, Anthology, Dictionary. Tbilisi: “Tbilisi University Publishing- House”].
- Tsibakhashvili, G.** (2000). targmanis teoriisa da praktikis sakitkhebi. Tbilisi: “Tbilisis universitetis gamomtsemloba“. [Issues of the Theory and Practice of Translation. Tbilisi: “Tbilisi University Publishing-House”].



კონცეფციური თარგმანის კონცეფციები  
თანამედროვე ქართულ და უკრაინულ  
ლიტერატურათმცოდნეობაში

CONCEPTS OF POETIC TRANSLATION IN MODERN  
GEORGIAN AND UKRAINIAN LITERARY STUDIES

ნინო ნასყიდაშვილი  
Nino Naskidashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ტექსტოლოგიური ანალიზი, ხალხური პოეზია,  
პოეტური თარგმანი, თარგმანის ანალიზი, პოეტური თარგმანის  
მეთოდები და ლექსიკური ელემენტები.

**Keywords:** textual analysis, folk poetry, poetic translation, translation  
analysis, methods of poetic translation and lexical elements.



პოეტური თარგმანი, როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე, თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში კვლავ რჩება მთარგმნელობითი შემოქმედების სამეცნიერო გააზრების ამოუხსნელ ფენომენად. პოეტური თარგმანის ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს განაპირობებს აქტუალური სამეცნიერო პრინციპები, ისეთები, როგორებიცაა ანტროპოცენტრული მიდგომა, რაც საშუალებას იძლევა თარგმანი შეფასდეს მთარგმნელის პოზიციიდან. პოეტური თარგმანის თანამედროვე კონცეფცია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს ითვალისწინებს: ერთი მხრივ, ემსახურება თარგმანის ენის გამდიდრებას შინაარსობრივი, რითმული, რიტმული კუთხითა და სახეების მრავალფეროვნებით და, მეორე მხრივ, მოქცეულია ლექსთწყობის მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

ქართველი პოეტებისა და მთარგმნელების, რაულ ჩილაჩავასა და შოთა იათაშვილის ორიგინალი და თარგმნილი პოეტური ნაწარმოებების ანალიზისას გამოყენებულია დედნისა და თარგმანების აღწერის მეთოდი. პოლისისტემურ თეორიაზე დაყრდნობით, განვიხილავთ თარგმანის ძირითად პარამეტრებს და გთავაზობთ იმ კომპლექსურ ზღვარს ინტერაქტიულ სისტემებს შორის, რომელიც წარმოდგენილია მხატვრული თარგმანის დესკრიფციულ კვლევაში.

### **ლიტერატურა:**

**რებრიი, ო.** – Rebriy, O. (2012). Suchasni kontseptsij tvorchoosti u perekladі. Monohrafiya. Kharkivskij natsionalnij universitet imeni V. N. Karazina, Kharkiv, 376, 2-4. [Ребрій, О. Сучасні концепції творчості у перекладі. Харківський національний університету імені М. Н. Каразіна, Харків]. <http://ekhnuir.univer.kharkov.ua/bitstream/123456789/8879/2/monograph-2012.pdf>) 8 ISBN 978-966-623-907-8

**პოლტერი, ი.** – Holter, I (2018). Skladnist ta osoblivosti perekladu v poetychnykh tvorax: maisternist' perekladacha, naukovij visnik DDPU imeni I. Franka, seria "filologichni nauki", Movoznavstvo, №9, 56-60, 1-2. [Гольтер, І. Складність та особливості перекладу в поетичних творах:

Майстерність перекладача. Науковий вісник ДДПУ імені І. Франка, серія «Філологічні науки». Мовознавство, № 9, 2018]. [http://ddpu-filol-visnyk.com.ua/uploads/arkhiv-nomerov/2018/NV\\_2018\\_9/15.pdf](http://ddpu-filol-visnyk.com.ua/uploads/arkhiv-nomerov/2018/NV_2018_9/15.pdf)

**რევიცკა, ს.** - Revutska, S. (2018). Osoblivosti khudozhn'oho perekladu. Hramatychnij aspekt. Krivoi-Rih, 2018, 116, 7. [Ревуцька, С. Особливості художнього перекладу: граматичний аспект. Кривий Ріг, 2018]. [http://elibrary.donnuet.edu.ua/1372/1/Revutska\\_mono\\_20\\_12\\_2018.pdf](http://elibrary.donnuet.edu.ua/1372/1/Revutska_mono_20_12_2018.pdf)

Poetic translation, as one of the forms of intercultural communication, still remains as an unresolved phenomenon for the scientific consideration of the creative work of translation in modern translation science. The theoretico-methodological basis of poetic translation analysis is conditioned by actual scientific principles, like anthropocentric attitude, which provide a possibility to assess the translation from the translator's side. The modern concept of poetic translation considers several significant factors: on the one hand, it serves to enrich translation language in terms of content, rhyming, rhythm and diversity of forms; and, on the other hand – it is placed in a strictly determined frame of versification.

The method for describing the original and its translations is applied on the basis of analysis of poetic works, translated and original ones, of the Georgian poets and translators, Raul Chiklachaia and Shota Iatashvili. Relying on polysystemic theory and communicative attitude towards translation, we analyze basic parameters of translation and offer a complex limitation between interactive systems, which are examined in the descriptive survey of literary translation.

## **References:**

**Rebriy, O.** (2012). Suchasni kontseptsij tvorchosti u perekladi. Monohrafiya. [Modern concepts of creativity in translation. Ministry of Education

and Science of Ukraine. Karazin Kharkiv National University. Kharkiv. 376. 2-4].<http://ekhnuir.univer.kharkov.ua/bitstream/123456789/8879/2/monograph-2012.pdf> 8 **ISBN 978-966-623-907-8**.

**Holter, I.** (2018). Skladnist ta osoblivosti perekladu v poetychnykh tvorax: maisternist' perekladacha. naukovii visnik DDPU imeni I. Franka. seria "filologichni nauki". Movoznavstvo. [Complexity and features in poetic works: the skill of a translator. a scholar of the Ivan Franko State Pedagogical University. a series of Philological sciences. Linguistics. № 9, 56-60, 1-2]. [http://ddpu-filolvisnyk.com.ua/uploads/arkhiv-nomerov/2018/NV\\_2018\\_9/15.pdf](http://ddpu-filolvisnyk.com.ua/uploads/arkhiv-nomerov/2018/NV_2018_9/15.pdf).

**Revutska, S.** (2018). Osoblivosti khudozhn'oho perekladu. Hramatychnij aspekt. [Criteria of art in translation studies. Features of translation. Grammatical aspect. Krivoy Rih. 116, 7]. [http://elibrary.donnuet.edu.ua/1372/1/Revutska\\_mono\\_20\\_12\\_2018.pdf](http://elibrary.donnuet.edu.ua/1372/1/Revutska_mono_20_12_2018.pdf).



ევროპა, როგორც სახე და სიმბოლო  
თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებში  
EUROPE AS A FACE AND SYMBOL IN CONTEMPORARY  
LITERARY TEXTS

ნინო პოპიაშვილი  
Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ევროპა, ლიტერატურა, მიგრაცია.  
**Keywords:** Georgia, Europe, literature, migration.





ევროპა ხშირად განიხილება, როგორც იდეალური ფენომენი, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მსოფლმხედველობას, ზოგადკულტურულ ღირებულებებს აერთიანებს. თუმცა ევროპა, როგორც რეალური ღირებულებებისა და ფასეულობების ერთიანობა, ცალკე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველია. ამასთან, ევროპის, როგორც იდეის, განცდა და ქართულ-ევროპული კავშირები უმთავრესად ცალმხრივი მიმართებებით არის მარკირებული.

საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი ხიდის სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში მრავალგზისაა დამუშავებული. მეორე მხრივ, საქართველოს როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის კონტექსტში მნიშვნელოვანია სწორედ კულტურული კონტექსტიდან, რადგან ქართული კულტურა სწორედ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სინთეზის პერსპექტივიდან იკითხება.

ევროპა, როგორც თავისუფლება, ევროპა, როგორც გადარჩენა, საკრალიზებული ევროპა და ქართული პერსპექტივები რეპრეზენტირებულია ქართველი ავტორების ლიტერატურულ ტექსტებში, მათ შორის, მიგრაციულ ლიტერატურაში. მოხსენებაში ვისაუბრებთ ევროპის, როგორც სახისა და სიმბოლოს, ასახვის თავისებურებებზე თანამედროვე ავტორების ლიტერატურულ ტექსტებში.

### **ლიტერატურა:**

**ბაბა, ჰ.** – Bhabha, H. K. (2000). Die Verortung der Kultur. Stauffenburg Verlag, Tübingen.

**ბაუდერი, ჰ.** – Bauder, H. (2011). Immigration Dialectic: Imagining Community, Economy and Nation. Hrsg.: University of Toronto Press. Toronto.

**ფოლდესი, ქ.** – Földes, C. (2007). Methoden und Perspektiven. Veszprém: Universitätsverlag/Wien: Praesens Verlag, (Studia Germanica Universitatis Vesprimiensis, Suppl.; 7).

- იუსუფი, ჰ. რ.** – Yousefi H. R. (2010). *Interkulturalität und Geschichte. Perspektiven für eine globale Philosophie.* Hamburg.
- კარტოზია, ა. ჩიტაური, ნ. შამანაძე, შ. პოპიაშვილი, ნ. და სხვ. (2016).**  
ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ეროვნული იდენტობის პრობლემა, თბილისი, „უნივერსალი“.
- მაალუფი, ა.** – Maalouf, A. (2004). *Origines*, Paris, Grasset.
- თავადა, ო.** – Tawada, O. (1994). *Tintenfisch auf Reisen (Erzählungen)*, Konkursbuch Verlag, Tübingen
- ხარატიშვილი, ნ.** – Haratischwili, N. (2014) *Das achte Leben (Für Brilka): Roman.* Frankfurter Verlagsanstalt, Frankfurt.

Europe is often viewed as an ideal phenomenon that combines a common to all mankind worldview with universal cultural values. However, Europe as a unity of real values and wealth is the basis for separate observation and analysis. Herewith, the perception of Europe as an idea and Georgian-European ties are mainly marked by one-sided relations.

The symbolic and allegorical understanding of Georgia as a bridge connecting Europe and Asia, the West and the East, has been repeatedly developed in Georgian culture and literature. On the other hand, the role of Georgia in the context of relations between the West and the East is important from the cultural context, since Georgian culture is read from the perspective of a synthesis of the West and the East.

Europe as freedom, Europe as survival, sacralised Europe and Georgian perspectives are represented in the literary texts of Georgian authors, including migrant literature. In the report, we will discuss the peculiarities of the reflection of Europe as a face and symbol in the literary texts of modern authors.

## References:

- Bhabha, H. K.** (2000). Die Verortung der Kultur. Stauffenburg Verlag, Tübingen.
- Bauder, H.** (2011). Immigration Dialectic: Imagining Community, Economy and Nation. Hrsg.: University of Toronto Press. Toronto.
- Földes, C.** (2007). Methoden und Perspektiven. Veszprém: Universitätsverlag/Wien: Praesens Verlag, (Studia Germanica Universitatis Vesprimiensis, Suppl.; 7).
- Yousefi H. R.** (2010). Interkulturalität und Geschichte. Perspektiven für eine globale Philosophie. Hamburg.
- Kartozia, A. Chitauri, N. Shamanadze, Sh. Popiashvili, N.** (2016). Kartuli mts'erlobis int'erk'ult'uruli modeli da erovnuli ident'obis p'roblema, tbilisi, „universal“ [The Intercultural Model of Georgian Literature and the Problem of National Identity, Tbilisi, "Universal"].
- Maalouf, A.** (2004). Origines, Paris, Grasset.
- Tawada, O.** (1994). Tintenfisch auf Reisen (Erzählungen), Konkursbuch Verlag, Tübingen.
- Haratischvili, N.** (2014). *Das achte Leben (Für Brilka): Roman*. Frankfurter Verlagsanstalt. Frankfurt.



ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“  
ქართულად

A STUDY OF “MRS. DALLOWAY” BY VIRGINIA WOOLF  
IN GEORGIAN

მანანა რუსიეშვილი და სოფიო თოთიბაძე  
Manana Rusieshvili & Sopio Totibadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მისის დელოუეი, ვირჯინია ვულფი, თარგმანი,  
ეკვივალენტობა.

**Keywords:** Mrs Dalloway, Virginia Woolf; translation, equivalence.



ვირჯინია ვულფი ცნობიერების ნაკადის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, „მისის დელოვეი“ კი - მისი ერთ-ერთი შედეგრი.

მოხსენება მიზნად ისახავს 1) ვირჯინია ვულფის სტილის თავისებურებების შეჯამებას და 2) მისი ქართულად გადმოტანის თავისებურებების გამოვლენას და ანალიზს.

ქართულ ენაზე ვირჯინია ვულფის ამ რომანის ორი თარგმანი არსებობს: 1. გიორგი ძნელაძისეული („მისის დოლოვეი“, გამომცემელი პალიტრა L, 2012) და 2. კატერინა პეტროვა-ბერძენაძის („მისის დელოვეი“, გამომცემელი საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, 2019).

მოხსენების პირველ ნაწილში საუბარი იქნება ვირჯინია ვულფის, როგორც ცნობიერების ნაკადის მიმართულების წარმომადგენელის ზოგად, სტილისტურ მახასიათებლებზე (პარკსი, 2014; ვერდონკი, 2002, განნი, 2003 ). თარგმანის ტექსტის შეპირისპირების დროს ვეყრდნობით რაისის მოდელს (2014), რომელიც გვთავაზობს ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტურობის მრავალშრიან ანალიზს.

შედარება-შეპირისპირების მეთოდზე დაყრდნობით, მოხსენებაში შედარებულია ვირჯინია ვულფის სტილის მნიშვნელოვანი ელემენტების სინტაქსური (მაგალითად, ირიბი მეტყველება, თავისუფალი ირიბი დისკურსი, მწერლის ხმის გადმოცემის თავისებურებები), ლექსიკური, მეტაფორულ-სტილისტიკური თავისებურებებისა და სოციალურ - კულტუროლოგიური რეალიების გადმოტანის სპეციფიკა და ეკვივალენტურობა.

### **ლიტერატურა:**

**ვულფი ვ. - Woolf, V.** (2002). Mrs. Dalloway, Houghton Mifflin Harcourt.

**ვულფი ვ.** (2012). მისის დოლოვეი. „პალიტრაL“.

**ვულფი ვ.** (2019). მისის დელოვეი, საქართველოს აკადემიური გამომცემლობა.

- განნი, დ.პ** - Gunn, D. P. (2003). "Free Indirect Discourse and Narrative Authority in Emma." *Narrative* 12.1 35 - 54. 19 April 2010.
- ვერდონკი, პ.**- Verdonk, P. (2002). *Stylistics: Oxford Introductions to Language Study*. Oxford: OUP.
- პარკსი, თ.** - Parks, T. (2014). "Translating Style: A Literary Approach to Translation – A Translation Approach to Literature," Routledge; Taylor & Francis Group, LONDON AND NEW YORK.
- რაისი, კ.** - Reiss, K. (2014). *Translation Criticism – The Potentials & Limitations*. Trans. Enroll F. Rhodes. Routledge: New York.

Virginia Woolf is one of the most interesting representatives of the stream of consciousness and "Mrs. Dalloway" is considered as one of her masterpieces.

The aim of this paper is 1) to analyse the peculiarities of Virginia Woolf's style and 2) to explore and analyse the degree of equivalence as expressed in the translations of "Mrs. Dalloway" into Georgian.

There are two translations of this work by Virginia Woolf in Georgian: 1. Giorgi Dzeladze's translation published by Palitra L, 2012 and 2. Katerina Petrova-Berdzenadze's translation published by Academic Press of Georgia, 2019.

Consequently, the first part of the report focuses on Virginia Woolf as a representative of the direction of the stream of consciousness. The methodology is based on the theories of Parks (2014), Verdndock (2002), and Gunn (2003);

Employing the comparative method and the model suggested by Reiss ( 2014), the second part of the paper compares the specific features of significant elements of Virginia Woolf's style (specifically, syntactic and semantic elements (e.g. indirect speech, free indirect discourse, peculiarities of the writer's voice; lexical, metaphoric and stylistic features and sociocultural realities).



## References:

- Gunn, D. P.** (2003). "Free Indirect Discourse and Narrative Authority in Emma." Narrative 12.1 35 - 54. 19 April 2010.
- Parks, T.** (2003). "Translating Style: A Literary Approach to Translation – A Translation Approach to Literature," Routledge; Taylor & Francis Group, LONDON AND NEW YORK.
- Reiss, K.** (2014). *Translation Criticism – The Potentials & Limitations*. Trans. Enroll F. Rhodes. Routledge: New York.
- Verdonk, P.** (2002). *Stylistics: Oxford Introductions to Language Study*. Oxford: OUP.
- Woolf, V.** (2002). *Mrs. Dalloway*, Houghton Mifflin Harcourt.
- Woolf, V.** (2012). *Mrs. Dalloway*. PalitraL.
- Woolf, V.** (2019). *Mrs. Dalloway*. The Academic Press of Georgia.



შოთა რუსთაველის პირველი პოლონელი  
მკვლევარი და მთარგმნელი

THE FIRST POLISH RESEARCHER AND TRANSLATOR OF  
SHOTA RUSTAVELI'S POEM

მარიამ ფილინა  
Maria Filina

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსთაველი, რდულტოვსკი, პირველი პოლონური  
თარგმანი, XIX საუკუნე.

**Keywords:** Rustaveli's poem, Rdultovsky, first translation, 19th century.



პოლონელი ლიტერატორების მხრიდან შოთა რუსთაველის პოემისადმი ყურადღების მიპყრობა გაცილებით ფართო მნიშვნელობის მოვლენა იყო, ვიდრე უბრალოდ დიდი პოეტის ტექსტით დაინტერესება. რუსთაველი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის სიმბოლო ხდება. მე-19 საუკუნეში, როცა ლიტერატურულ-კულტურული კავშირები მრავალ ერს შორის სწორედ მაშინ იძენდა მუდმივი ხასიათს, მთელი ქვეყნის აღქმა მისი უდიდესი გენიოსის საშუალებით ბუნებრივი იყო.

1833 წელს „ტელესკოპში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა პირველ პერსონალურ სტატიად რუსულ პრესაში. მასში ნათქვამია, რომ პოლონურიდან ნათარგმნია პეტრე დუბროვსკის მიერ, თავად ავტორი დასახელებული არ არის.

ავტორმა „ტელესკოპიდან“ რუსთაველის ბედის შესახებ ეს ხალხური ვერსია პირველმა შეიტანა თავის სტატიაში. მისი ინფორმაციის წყარო დღემდე დაუდგენელია და შესაძლოა, ვერც მოხერხდეს მისი დადგენა.

თუმცა, გარდა ავტორის საიდუმლოებით მოცული გათვითცნობიერებისა, მისი ნამუშევარი სხვა მრავალი თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას. მასში გამოსჭვივის გულწრფელი ინტერესი პოემისა და ქართულ საზოგადოებაში რუსთაველის როლისადმი: „პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შაირით არის დაწერილი. ეს არის ოთხთავიანი ლექსი ერთნაირი რითმებით“.

სტატიის ავტორი რუსთაველის პოემას არიოსტოს „გამაგებულ როლანდს“, ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებულ იერუსალიმს“ და ოსიანის პოემებს ადარებს. ამგვარი შედარება, როგორც ჩანს, ევროპელი მკითხველისათვის აუცილებელი იყო ერთგვარი კულტურული ორიენტირის მისაცემად. მართალია, ეს ორიენტირი მცდარია თავის ტიპოლოგიურ საფუძველშივე, მაგრამ წარმოდგენას იძლევა მოვლენის მასშტაბებზე.

ამის შემდეგ, ერთ გვერდზე ერთობ არაზუსტადაა მოთხრობილი პოემის შინაარსი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ში-

ნაარს არავითარი დამოუკიდებელი ღირებულება არ გააჩნია. თუმცა კომენტარებით ვხვდებით, რომ ავტორს ზედმინევნით ესმის პოემის მნიშვნელობა, უფრო სწორად, მისი როლი ქართულ კულტურაში:

ეს სტატია, რომელიც მხოლოდ გამოკვეთს რუსთაველის პიროვნებისა და შემოქმედების გაშუქების პრობლემას და სავსეა შეცდომებით, ღირებულია ბევრი მიზეზის გამო და ერთგვარი ათვლის წერტილია რამდენიმე მიმართულებით.

პირველ ყოვლისა, იგი სცდება ქართულ-პოლონური ურთიერთობების ჩარჩოებს, რამდენადაც, იგი კი ეკუთვნის პოლონელი ავტორის კალამს, მაგრამ იქცა რუსული ლიტერატურათმცოდნეობის ფაქტად. იგი გამოკვეთს იმ რთულ გზებს, რომლებსაც რუსთაველის პოემა გადიოდა ევროპელ მკითხველამდე.

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ სტატიის ავტორი იყო ცნობილი პოლონელი არაბისტი ალექსანდრე ხოცკო (1804-1891). ამ საკითხს იკვლევდა ბევრი მკვლევარი და თან პრაქტიკულად ერთდროულად.

გამოცანა ვროცლაველმა პროფესორმა, ლიტერატურის ისტორიკოსმა, ვლაცლავ კუბაცკიმ ამოხსნა. ავტორი აღნიშნავს, რომ „პოლონური რომანტიზმის მკვლევარს არ გაუჭირდება, მიუთითოს ორიგინალი ამ პიონერული რუსული გამოკვლევისა“. მისი პოლონური ტექსტი პირველად გამოჩნდა ვილნოში (ვილნიუსში) 1830 წელს, „1831 წლის ლიტვურ კალენდარში“, რომელიც იპოლიტე კლიმაშევსკიმ გამოსცა. ნარკვევის ჰქვია „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“ («Шота Руставели, грузинский поэт»). შემდეგ კი კუბაცკი ჰყვება რუსულ ენაზე უკვე ცნობილ სტატიას.

გასაკვირია, როგორ ვერ დაადგინა რდულტოვსკის ავტორობა ისეთი მასშტაბის ორიენტალისტმა, როგორიც იან რეიხმანია, რომელმაც არაერთხელ დაწერა, რომ ქართულ-პოლონურ ურთიერთობებში ბევრი თავსატეხი იყო.

კ. რდულტოვსკის, როგორც ამას პროფ. ლ. მენაბდე მიი-

ჩნევს, უნდა მიემართა ორიგინალისთვის, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისათვის და მასზე დართული კომენტარებისათვის (რუსთაველი 1712). თუმცა არავითარი ცნობები იმის შესახებ, რომ რდულტოვსკიმ ქართული ენა იცოდა, არ მოგვეპოვება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ვილნიუსელ ორიენტალისტთა წრიდან ეხმარებოდა ვინმე. ამ წრეში ბევრი იყო ქართული ენის მცოდნე.

### **ლიტერატურა:**

- ფილინა, მ. – Филина М.** (1991). Gruzino-pol'skiye literaturnyye vzaimosvyazi XIX-XX vekov. TGU Tbilisi. [Филина М. Грузино-польские литературные взаимосвязи XIX-XX веков. ТГУ Тбилиси].
- კუბცაკი, ვ. – Kubacki W.** (1969). Kubacki W. Malwy na Kaukazie. Warszawa.
- ფილინა, მ. ოსსოვსკა დ.** (2018). პოლონელთა ბედი კავკასიაში. ნაწილი I. პოლონელ გადასახლებულ პოეტთა „თბილისური ჯგუფი“. თბილისი: „უნივერსალი“.
- შადური, ვ.** (1966). რა იცოდა რუსეთმა რუსთაველის შესახებ პუშკინის დროს? შოთა რუსთაველი. საიუბილეო კრებული. თბილისი.

The appeal of Polish writers to Shota Rustaveli's poem was a much more ambiguous phenomenon than an appeal to the text of the great poet. Rustaveli became a kind of symbol of a country with an ancient culture. In the 19th century, when literary and cultural contacts between many peoples had just started to take on a permanent character, such an understanding of the whole country through its supreme genius was natural.

In 1833, in Telescope was published the article “Shota Rustaveli, Georgian Poet”, which for a long time was considered as the first personal article in the Russian press. It noted that Pyotr Dubrovsky had translated it from Polish, the author himself was not named.

Some information from the biography of Rustaveli was widespread in people's mind. They were reflected even in the literary monuments of the Renaissance - in "Rostomiani" and "Iosebzhiliani".

However, in addition to the mysterious awareness of the author, his work attracts attention from many other sides. It contains a sincere interest in the poem and the role of Rustaveli in Georgian society: "The Poem of Vepkhistkaosani" is written using Shairi poems. This kind of poetry consists of quatrains with the same rhymes.

The author of the article compares Rustaveli's poem with "Furious Roland" by Ariosto and with "Jerusalem Liberated" by Torquato Tasso, with the poems of Ossian. Such a comparison was apparently necessary for the European reader; it gave him a certain cultural reference point, incorrect in its typological basis, but giving an idea of the scale of the phenomenon.

After that, the content of the poem is retold on one page and rather imprecisely. We can say that the retelling does not represent an independent value. However, the comments are distinguished by a subtle understanding of the meaning of the poem, or rather, its role in Georgian culture.

For a long time it was believed that the author of the article was the famous Polish Arabist Alleksandr Khodzko (1804-1891). The research was carried out by many and almost simultaneously. The solution was made by professor from Wroclaw, literary historian Wacław Kubatsky. The author notes that "it is not difficult for a researcher of Polish romanticism to point out the original of this pioneering Russian study" (Kubatsky 1969: 283). His Polish text appeared in Vilno (Vilnius) in 1830 in the "Lithuanian Calendar for 1831" published by Ippolit Klimaszewski. The essay is titled "Shota Rustaveli, Georgian poet". Further, Kubatsky retells an article already known in Russian.

It is surprising why the authorship of Rdulovsky was not discovered by an orientalist of the same level as Jan Reichman, who more than once wrote that there are many mysteries in Georgian-Pol-



ish relations. According to Prof. L. Menabde, K. Rdultovsky had to refer to the original, to the “Vakhtangov” edition of “Vepkhistaosani” and comments to it (Rustaveli 1712), although there is no information about the knowledge of the Georgian language by Rdultovsky. It can be assumed that he was assisted by someone from the Orientalists’ circle of Vilno, many members of which knew Georgian.

### **References:**

- Filina, M.** (1991). Gruzino-pol’skiye literaturnyye vzaimosvyazi XIX-XX vekov. TGU Tbilisi. [Georgian-Polish Literary Relationships of the 19th-20th Centuries. TSU Tbilisi].
- Filina, M.Osovska D.** (2018). Polonelta bedi kavkasiashi. natsili I. polonel gadasakhlebul p’oet’ta „Tbilisuri jgupi“. „Universali“. Tbilisi.[The fate of Poles in the Caucasus. Part I. “Tbilisi Group” of Polish exiled poets “Universal”.Tbilisi].
- Shaduri, V.** (1966). ra itsoda rusetma rustavelis shesakheb pushkinis dros? shota rustaveli. saibileo krebuli. Tbilisi. [What did Russia know about Rustaveli at the time of Pushkin? Q: Shota Rustaveli. Jubilee collection. Tbilisi].
- Kubacki W.** (1969). Balva kavkasiashi. Varshava. [Malwa in the Caucasus (in Polish). Warsaw].



მარინა ცვეტაევას ერთი ლექსის  
მასკულინური თარგმანი  
A MASCULINE TRANSLATION OF ONE POEM  
BY MARINA TSVETAeva

თეა შურგაია  
Tea Shurgaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მარინა ცვეტაევა, ვახუშტი კოტეტიშვილი,  
მასკულინური თარგმანი, ქართული თარგმანი.

**Keywords:** Marina Tsvetaeva, Vakhushti Kotetishvili, masculine translation,  
Georgian translation.



მარინა ცვეტაევას ორსტროფიანი უსათაურო ლექსის „Я – страница твоему перу“ (1918) ორი ქართული თარგმანი არსებობს. მოხსენებაში განხილულია ვ. კოტეტიშვილის თარგმანი („შენი კალმისთვის მე ვარ ფურცელი“), რომელიც, ავტორის აზრით, ოსტატური თარგმანია, თუმცა მასკულინური ელფერიტ ალბეჟდელი.

თარგმანის ანალიზს ლექსის კონცეპტუალური გააზრება უსწრებს წინ, რასაც ამ ტექსტის ადეკვატურად თარგმნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ავტორი ნაწილობრივ ეთანხმება ქეთრინ სიპილას მოსაზრებას, რომელიც გამოთქმულია ბ. პასტერნაკის „გაზაფხულისა“ (1914) და მ. ცვეტაევას ამ უსათაურო ლექსის ანალიზისას: „ორივე ლექსში ივარაუდება წერის აქტისა და სექსუალური აქტის ჰომოლოგიურობა...ცვეტაევა იღებს პასიურ ქალურ პოზას, ხოლო პასტერნაკი - პოეტი-აგენტია, რომელიც „ხარბ ფურცელს“ აკმაყოფილებს“ (სიპილა, 2018:5-6). მოხსენებაში არ არის გაზიარებული მტკიცება, თითქოს ცვეტაევა აქ „პასიურ ქალურ პოზას“ იღებს.

დედნის ტექსტში თვალში საცემია პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელის სიხშირე. ორსტროფიან ტექსტში ის ხუთჯერ არის გამოყენებული. ლექსი იწყება ამ ნაცვალსახელით და მისი განსაკუთრებული ადგილი აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს თარგმანში.

ორიგინალის ტექსტში „როლები“ ასე ნაწილდება:

„მე“ (შენთვის) - თეთრი ფურცელი, შავი მიწა;

„შენ“ (ჩემთვის) - კალამი, სხივი და წვიმის სინოტივე.

ასეთი განაწილებით მხარეებს მკაფიო ადგილი და სტატუსი ენიჭებათ, რაც, ურთიერთობების პარიტეტულობას გულისხმობს. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ ამ როლების სივრცული განაწილება - „მე“ არის ჰორიზონტალური ხაზი (ფურცელი, მიწა), ხოლო „შენ“ - ვერტიკალური (კალამი, სხივი, წვიმა). ვერტიკალურობა აქტიური /დინამიკური მდგომარეობაა, ჰორიზონტალურობა - პასიური /სტატიკური.

სამყარო ორ სიბრტყედ არის გაყოფილი - ლირიკული გმირი („მე“) და მისი მუზა. სამყაროს მთლიანობისთვის ორივე

კომპონენტი თანაბრად აუცილებელია. პოეტი მეორე მხარეს უცხადებს მორჩილებას ისე, რომ მის თანაბარ პარტნიორად რჩება.

ცა, წვიმა - ვაჟური სანყისია, მინა - ქალური. წვიმა ანა-ყოფიერებს მინას. ცვეტაევას ლექსში ეს მინა შავია. შავმინა ნიადაგი კი განსაკუთრებით ნოყიერია. ქართულ თარგმანში ეს მინა „უბრალოდ“ იქცა, რაც მის ფასს ერთგვარად აკნინებს და ღირსებას უკარგავს.

კონცეპტუალურად უმართებულო ჩანს თარგმანში გაჩენილი „თუ გავუძელი“, რომელიც ეჭვს, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას გამოხატავს, რასაც გამორიცხავს ის სტატუსი, რომელსაც ცვეტაევა თავის ლირიკულ გმირს არგუნებს.

ამ სტატუსთან და მთლიანად ლექსის სულისკვეთებასთან შეუსაბამოა მეორე სტროფის მეორე სტრიქონის ასეთი თარგმანი: „ვით სხივს და წვიმას გედი ღაღადით“. ორიგინალში არსად არის (არც უნდა იყოს!) შედარება, რადგან პოეტი საკუთარ და „მეორე მხარის“ ფუნქციებს მკაფიოდ მიჯნავს, ზუსტ დეფინიციას იძლევა, ანალოგიებს არ საჭიროებს. ლექსის პათოსის გათვალისწინებით, ზედმეტი ჩანს „ღაღადით ლოდინი“, რომელიც ქართულ თარგმანში გაჩნდა.

ერთი სიტყვით, მარინა ცვეტაევას ამ ლექსის თარგმნისას პირველი პირით წარმოდგენილი ლირიკული გმირი არ შეიძლება იყოს „მეორე“ ანუ „დაქვემდებარებული“ – „მომლოდინე“, „მოღალადე“, „მვედრებელი“. ეს ქალის როლის /ხასიათის მასკულინური აღქმაა, რომელიც პოეტის დამოკიდებულებას არ ემთხვევა.

## **ლიტერატურა:**

**კოტეტიშვილი, ვ.** (2002). აღმოსავლურ-დასავლური დივანი, თბილისი: „დიოგენე“.

**კოტეტიშვილი, ვ.** (2006). ვერცხლის საუკუნე + ბროდსკი, თბილისი .

**სიპილა, ქ.** - Ciepiela, C. (2018). The Same Solitude: Boris Pasternak and Marina Tsvetaeva, NY: Cornell University Press.

- ბროდსკი, ი.** - Brodsky, J. (1981). Ob odnom stikhotvorenii. [Бродский, И. Об одном стихотворении, <http://rsp-souz.ru/stati/filosofiya-tvorches-tva/443-iosif-brodskij-ob-odnom-stikhotvorenii.html>]
- ცვეთაევა, მ.** - Tsvetaeva, M. (1979). Stikhotvoreniya i poemy, Leningrad: "Sovetskiy Pisatel'. [Цветаева, М. Стихотворения и поэмы, Ленинград: "Советский Писатель"].
- ცვეთაევა, მ.** - Tsvetaeva, M. (1984). Izbrannye proizvedeniya, Minsk, "Mas-tatskaya Literatura". [Цветаева, М., Избранные произведения, Минск: "Мастацкая Літэратура"].

There are two Georgian translations of Marina Tsvetaeva's two-strophe untitled poem „Я – страница твоему перу„ (“I am a Page for your Pen”, 1918). The paper analyzes the translation of this poem made by Vakhushti Kotetishvili, which, in the author's opinion, is done masterfully, but has a masculine shade.

The analysis of the translation is preceded by the conceptualization of the given poem, which is of decisive importance for adequate translation. To a certain extent, the author shares Catherine Ciepiela's opinion expressed during the analysis of the poems by B. Pasternak (“Spring,” 1914) and M. Tsvetaeva (“I am a Page for your Pen”): “Both poems suggest a homology between the act of writing and the sexual act”, but the author does not fully agree with the opinion that “Tsvetaeva assumes a passive feminine posture.”(Ciepiela, 2018:5-6)

The original text abounds in the first person singular pronoun, which is used five times in a two-strophe poem. The poem starts with this pronoun, and its special role in the poem should be preserved in the translation.

In the original text, “the roles” are distributed as follows:  
 “I” (for you) – a white page, black earth;  
 “You” (for me) – a pen, a ray of sun and rain's moisture.

Such distribution of roles grants a vivid place and status to each of the two sides. This implies the equality of relationships. Here the world is divided into two planes – the lyrical hero (“I”) and her muse. Both components are equally important for the integrity of the world. The poet surrenders to the other side, at the same time remaining an equal partner.

The rain and the sky represent the masculine essence, whereas the earth represents the feminine one. The rain fertilizes the earth. In Tsvetaeva’s poem, the earth is black. Black earth is especially fertile. However, in the Georgian translation, the soil becomes “ordinary”, hence, its value is depreciated.

The phrase “if I bear it” which appears in Georgian translation seems conceptually unjustified, because it points to the lack of self-confidence. Yet, this self-doubt is impossible due to the status attached by Tsvetaeva to her lyrical hero.

The translation of the second line of the second strophe (“I await you - a ray of sun and rain - with appeal”) seems inappropriate, taking into account the above-mentioned status as well as the spirit of the entire poem. In the original text, there is no simile (and there should not be any!), because the author draws a distinct line between her functions and the functions of “the other”. The author provides precise definitions and does not require analogies. Taking into account the pathos of the poem, “awaiting with appeal” seems excessive.

To summarize, the lyrical hero represented by the first person singular pronoun cannot be “the second one”, “the subordinate one” – “the awaiting one” “the appealing one”. This is the translator’s masculine perception of the woman’s role, which does not coincide with the poet’s own attitude.



## References:

- Brodsky, J.** (1981). Ob odnom stikhotvorenii. [About One Poem], <http://rsp-souz.ru/stati/filosofiya-tvorchestva/443-iosif-brodskij-ob-odnom-stikhotvorenii.html>
- Ciepiela, C.** (2018). The Same Solitude: Boris Pasternak and Marina Tsvetaeva, NY: Cornell University Press.
- Kotetishvili, V.** (2002). Aghmosavlur-dasavluri divani, Tbilisi: “Diogene” [The West-Eastern Divan, Tbilisi: “Diogene”].
- Kotetishvili, V.** (2006). Vertskhlis saukune + Brodski.Tbilisi [The Silver Age + Brodsky, Tbilisi].
- Tsvetaeva, M.** (1979). Stikhotvoreniya i poetry, Leningrad: “Sovetskiy Pisatel”. [Narrative and Lyrical Poems. Leningrad: “Soviet Writer”].
- Tsvetaeva, M.** (1984). Izbrannye proizvedeniya, Minsk, “Mastatskaya Literatura”. [Selected Works. Minsk: “Mastatskaya Literatura”].



XVIII ს-ის ქართულ-სომხური ლიტერატურული  
ურთიერთობების ერთი ახალი ეპიზოდი  
ONE NEW EPISODE OF GEORGIAN-ARMENIAN LITERARY  
RELATIONSHIPS IN XVIII C.

ნათია ჩანტლაძე  
Natia Chantladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-სომხური ურთიერთობები, თარგმანი,  
საღვთისმეტყველო.

**Keywords:** Georgian-Armenian relationships, translation, theological.



ქართულ-სომხური ურთიერთობები არაერთ საუკუნეს ითვლის და ძალზე მრავალფეროვანია. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სომხურიდან ქართულად თარგმნის ისტორიაზე და წარმოგიდგინთ აქამდე უცნობ მთარგმნელს, ტერ ზაქარია კაკონაშვილს და მის ნაშრომს.

სომხეთში, ერევნის მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ფონდში, აღმოჩნდა ქართულ ენაზე მხედრულით შესრულებული კრებული MM-81, რომელიც საღვთისმეტყველო ხასიათის 36 დიდაქტიკურ ტექსტს აერთიანებს, მწირად გაფორმებულია მინიატურებით და ახლავს გადამწერის ანდერძი და მოსახსენებლები. კრებული საინტერესოა როგორც თავისი შედგენილობით, ისე გამიზნულობის, შექმნის ადგილისა და შემდგენლის ვინაობის გამო. კრებულის შესწავლამ დაგვანახა, რომ

- ის შეიქმნა სურამში, აქ მცხოვრებ სომეხთა ახალი თაობის სწორი რწმენით აღსაზრდელად, მათთვის სომხური საეკლესიო ტრადიციის გასაცნობად და შესათვისებლად;
- კრებული დაინერა ქართულ ენაზე, რადგანაც სომხურად კითხვა და სწავლა სურამში მაცხოვრებელ სომეხ ახალგაზრდებს აღარ შეუძლიათ - სავარაუდოდ, ენობრივად ან სრულად არიან გაქართველებულნი, ან მხოლოდ სასაუბრო დონეზეა ფლობენ სომხურს;
- ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებს სურამში სომხური საეკლესიო კერის არსებობას, რომელსაც საშუალება ჰქონდა, ადგილზე ეწარმოებინა სამწერლობო და მთარგმნელობითი საქმიანობა, ეზრუნა სომხური სარწმუნოებრივი ტრადიციის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე;
- სომხურიდან ქართულად მთარგმნელთა რიცხვს შეემატა კიდევ ერთი კონკრეტული სახელი - ზაქარია კაკონაშვილი, სურამის მკვიდრი, სომეხი ხუცესი;
- ქართლში და, კერძოდ, სურამში სომხები უკვე დიდი ხნის ფეხმოკიდებულნი ჩანან და ქართულ გარემო-

სთან კარგად ადაპტირებულნი, - ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულს, შესაძლოა, სომხურზე უკეთაც კი, მათ ათვისებული აქვთ ქართული სახელები - ბეჟანი, მამუკა, შაქრუა და სხვა, გვარიც ქართულ ყაიდაზე აქვთ - კაკონა-შვილი;

- ზაქარიას დამოკიდებულება ქართველების მიმართ კეთილგანწყობილია, ის სომხებსაც და ქართველსაც ერთნაირად უსურვებს სიკეთეს და ლოცულობს მეფე ერეკლეს დღეგრძელობისთვის.

### **ლიტერატურა:**

MM-81.კრებული (XVIII ს.). გადამწერი: ზაქარია კაკონაშვილი.

**მაისურაძე, გ.** (1999). საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს.), თბილისი: „მეცნიერება“.

**გაბიაშვილი, ე.** (2009). ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ბიბლიოგრაფია, ბიბლიოლოგია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები, 4. თბილისი.

**ტერ-ბაღდასაროვი, დ.** (2019 ). H-404 ხელნაწერის ქართულენოვანი ტექსტის ენობრივი თავისებურებები. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 8.93-102. თბილისი: თსუ გამომცემლობა .

Georgian-Armenian relationships span many centuries and are very diverse. This time we will focus on the history of Armenian-to-Georgian translation and will present to you the translator unknown up until now – Ter Zachary Kakonashvili and his work.

In the manuscript MM-81(kept in Armenia, Matenadaran), scribed in Mkhedruli, we can see 36 didactic texts of theological nature. The manuscript contains sparce amount of illustrations and is followed up by the scribe's will and several colophones. The collection is interesting due to its contents, as well as its target audience,

place of creation and the identity of its compiler. The study of the collection showed us that:

- it was created in Surami for the purpose of upbringing the local new generation of Armenians with correct beliefs, as well as, to teach them and assimilate them with the Armenian ecclesiastical traditions;
- The collection was written in Georgian, since the local Armenian youth could not read and study in Armenian anymore, possibly due to the fact that they had already adopted the Georgian language, thus had fully become Georgians, or they could use just speaking Armenian;
- This, in itself confirms that there was an Armenian ecclesiastical community, which had the ability of scripting and translating manuscripts locally and taking care of and strengthening Armenian religious traditions;
- Another person joins the Armenian-to-Georgian translators: Zachary Kakonashvili, a resident of Surami, an Armenian priest.
- It looks as if Armenians have already been established in Qartli, in Surami in particular, for a long time, they are well adapted to the Georgian environment – they know the Georgian language, possibly even better than Armenians and have taken up Georgian names – Bezhan, Mamuka, Shaqrua etc. They also seem to have surnames in Georgian style – Kakona-Shvili; Zachary has a favourable attitude towards Georgians, he wishes well to both Georgians and Armenians and prays for King Erekle's wellbeing.

### **References:**

MM-81.Miscellanea (XVIIIc.).Scribe:Zaqaria Kakonashvili

**Gabidzashvili,E.**(2009)..Dzveli qartuli mtserlbis dzegebi: bibliografia, bibliologia, egzegetika, apokrifebi [Translated works of Ancient Georgian Literature: Bibliography, Bibliology, Exegetic, Apocrits 4.Tbilisi].

**Maisuradze, G.** (1999). Saqartvelos somxuri mosaxleobis istoriis sakitxebi (IV-XVIIIss.).[Topics on the history of Armenian population of Georgia (IV-XVIIIcc.) Tbilisi :“Metsniereba”].

**Ter-Bagdasarova,D.** (2019). H-404 xelnatseris qartulenovani teqstis enobriv tavisburebebi. [Linguistic peculiarities of the Georgian text of the manuscript H-404. Oriental Studies, 8.93-102. Tbilisi: TSU Press].



„ამირანდარეჯანიანი“  
უკრაინული თარგმანის შესახებ  
ABOUT THE UKRAINIAN TRANSLATION OF  
“AMIRAN-DAREJANIANI”

სოფიო ჩხატარაშვილი  
Sophio Chkhatarashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხალხური ეპოსი, ფოლკლორული  
ტექსტის თარგმანი.

**Keywords:** Georgian folk epic, translation of the folklore text.



უკრაინული მწერლობაში ქართული ლიტერატურის, როგორც უძველესი, ორიგინალური და თვითმყოფადი შემოქმედების მიმართ ინტერესი ყოველთვის მუღვანდებოდა. XIX საუკუნეში თარგმანებიცა და კვლევებიც ხშირდება. უკრაინულად იკითხება ილიასა და აკაკის პოეზია, ინერება წერილები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. XX საუკუნეში მრავალფეროვანი ხდება სათარგმნი თემებიცა და ავტორებიც. მათ შორის, აღნიშნული საუკუნის მიწურულს, ყურადღებას იქცევს „ამირანდარეჯანიანი“, თხზულება მოსე ხონელის მიერ ქებული ამირანის შესახებ, რომლითაც უკრაინელი მწერალი და მთარგმნელი, ვასილ მისიკი, დაინტერესებულია.

„ამირანდარეჯანიანის“ სადაურობის შესახებ უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში დომინანტურია მოსაზრება, რომ იგი არის ორიგინალური ქართული, ორიგინალური ფოლკლორული ნაწარმოები.

უკრაინული მწერლების ინტერესი აღმოსავლური ლიტერატურისა და კულტურის მიმართ ყოველთვის დიდი იყო. ცდილობდნენ, როგორც წაკითხვასა და შესწავლას, ისე მის თარგმნას მშობლიურ ენაზე. XIX საუკუნიდან იმატა კვლევებმა ორიენტალისტიკაში და დისციპლინად ჩამოყალიბდა.

1990 წელს კიევში გამომცემლობა „დნიპროს“ მიერ გამოიცა ვასილ მისიკის თარგმანები წიგნად „დასავლეთი და აღმოსავლეთი“, რომელშიც დაბეჭდილია „ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანი. წიგნში აგრეთვე წარმოდგენილია: ომარ ხაიამის, ნიზამი განჯელის, უილიამ შექსპირის, ჯორჯ ბაირონის, პერსი ბიში შელის პოეზია. დასავლეთითა და აღმოსავლეთით დაინტერესებული უკრაინელი მწერალი „ამირანდარეჯანიანს“, ბუნებრივია, აღმოსავლეთის ბლოკში ათავსებს და პირველ ადგილსაც ანიჭებს ჩამონათვალში.

ვასილ მისიკის, როგორც მთარგმნელის, როლი რომ აღვნიშნოთ, დავასახელებთ იმ ფაქტს, რომ 1995 წელს უკრაინის მწერალთა ეროვნულმა კავშირმა დააწესა ვასილ მისიკის სახელობის ლიტერატურულ პრემია ორიგინალური პოეტური კრებულებისა და ლექსების თარგმანებისათვის. ვასილ მისიკი

თარგმნიდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, ბელორუსული, არაბული, აზერბაიჯანული და სხვა ენებიდან.

უკრაინული ლიტერატურისთვის ქართული რეალიები აღმოსავლურ კულტურასთანაა გაიგივებული. პოემა მდიდარია ონომასტიკური ერთეულებით. ვასილ მისიკს მცდელობა არ დაუკლია ანთროპონიმებისა თუ ტოპონიმების თარგმნის პროცესში.

ამირან დარეჯანისძეს ვასილ მისიკის თარგმანში სახელიც, სახეცა და ხასიათიც შენარჩუნებული აქვს.

საინტერესოა, როგორ შეძლო ვასილ მისიკმა ქართული ტექსტის თარგმნა. 1945 წელს უკვე არსებობდა „ამირანიანის“ რუსული თარგმანი, რომელიც შალვა ნუცუბიძეს ეკუთვნის. სავარაუდოდ, აღნიშნულ ტექსტს გაეცნობოდა ვასილ მისიკი, შესაძლებელია, დაეყრდნო კიდეც. იმავდროულად, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 30-იან წლებში ხარკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი ქართველი მთარგმნელი გიორგი ნამორაძე, ხოლო ამავე პერიოდში ვასილ მისიკი ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტია. ისინი ერთად იბეჭდებიან ცნობილ ჟურნალში „ჩერვონი შლიახ“ (1929წ.). გარდა ამისა, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ა. გრენის, ა. ხახანაშვილის წერილები „ამირანდარეჯანიანის“ შესახებ.

საკუთარი სახელების (როგორებიცაა: ბადრი, უსუბი, ამირანი, ყამარი) გარდა, ყურადღებას იქცევს ბაცბაცდების თარგმნის საკითხი, რომელიც ტრანსლიტერაციით გადააქვს უკრაინელ მწერალს. გველეშაპის თარგმანს ხან ტრანსლიტერაციით სთავაზობს მკითხველს, ხან თარგმნის, როგორც დრაკონს.

ვასილ მისიკმა უკრაინელ მკითხველს საშუალება მისცა, გაიცნოს და აღიქვას ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა, მისი გმირების ხასიათი, რაინდული ეპოქის ანარეკლი.

„ამირანდარეჯანიანი“, როგორც ფოლკლორული ტექსტი და სათარგმნელად სპეციფიკური ნაწარმოები, ვასილ მისიკის თარგმანში უდავოდ შედგა. უკრაინელ მკითხველს იგი წარმოდგენას უქმნის ქართული ხალხური ეპოსის სახისა და მოტივების შესახებ.

## ლიტერატურა:

- აკელიძე, კ.** (1981). ქართული ლიტერატურის ისტორია. II, თბილისი: „მეცნიერება“.
- კიკნაძე, ზ.** (2001). ქართული ხალხური ეპოსი. თბილისი: „ლოგოს პრესი“.
- მისიკი, ვ.** – Мисик, В.(1990). Zakhid i skhid. Pereklady. Kyiv Dnipro. [Мисик, В. Захід і схід. Переклади. Київ Дніпро.].
- ჩიქოვანი, მ.** (1947). „მიჯაჭვული ამირანი“. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხალიმონენკო, გ.** (2020). ქართული ლიტერატურის ისტორია. კიევი.

In Ukrainian literature, the interest in Georgian literature as an ancient, original and self-sufficient creative work has always been evident. Translations and studies also became more frequent in the 19th century. The poetry of Ilia and Akaki is read in Ukrainian, letters are written about “The Knight in the Panther’s Skin”. In the twentieth century, both translation topics and authors became more diverse. At the end of the mentioned century, attention was drawn to *Amiran-Darejaniani*, a poem about Amiran praised by Mose Khoneli, in which Vasyl Mysyk, the Ukrainian writer and translator, became interested. The prevailing opinion about *Amiran-Darejaniani*’s controversy in Ukrainian literary criticism is that it is an original Georgian folklore work.

The interest of Ukrainian writers in Oriental literature and culture has always been great. They tried to read and study it as well as translate it into their native language. From the nineteenth century onwards, research in oriental studies increased and became a discipline.

In 1990, Dnipro Publishing House released translations of Vasyl Mysyk in the book “West and East” in Kiev, which published a Ukrainian translation of *Amiran-Darejaniani*. The book also fea-

tures poetry by Omar Khayyam, Nizami Ganjeli, William Shakespeare, George Gordon Byron, Percy Bysshe Shelley. The Ukrainian writer interested in the West and the East, naturally, places *Amiran-Darejaniani* in the Eastern bloc and puts it on top of the list.

To emphasize the role of Vasyl Mysyk as a translator, it would be enough to mention the fact that in 1995 the National Writers' Union of Ukraine established the Vasyl Mysyk Literary Prize for translations of original poetry collections and poems. Vasyl Mysyk translated from English, German, French, Russian, Belarusian, Arabic, Azerbaijani and other languages.

For Ukrainian literature, Georgian realities are equated with Eastern culture. The poem is rich in onomastic units. Vasyl Mysyk did not spare any effort in translating anthroponyms or toponyms.

Amiran Darejanisdze has preserved the name, face and character in Vasyl Mysyk's translation.

It is interesting how Vasyl Mysyk was able to translate the Georgian text. In 1945, there was already a Russian translation of "Amiraniani", which belongs to Shalva Nutsubidze. It is probable that Vasyl Mysyk was acquainted with the mentioned text. Moreover, it is possible that he even relied on it. At the same time, it is noteworthy that the famous Georgian translator, Giorgi Namoradze lived and worked in Kharkov in the 1930s and, at the same time, Vasyl Mysyk was a student at Kharkov University. They were published together in the famous magazine "Chervoni Shliakh" (1929). In addition, he should have known about A. Gren, A. Khakhanashvili's letters about *Amiran-Darejaniani*.

In addition to the personal names (such as: Badri, Usubi, Amirani, Kamari), attention is drawn to the issue of translating Bakbakdev, which is transferred with alliteration by the Ukrainian writer. The translation of the Gveleshapi - dragon is sometimes alliterated to the reader, sometimes translated as a dragon.

Vasyl Mysyk allowed the Ukrainian reader to get acquainted with and perceive the plot of the work, the personality of the characters of the poem, and the reflection of the knightly era.

The translation of *Amiran-Darejaniani* by Vasyl Mysyk as a folklore text and a specific work to be translated was undoubtedly a success. Besides, it gave the Ukrainian reader an idea of the type and motives of the Georgian folk epic.

### References:

- Kekelidze, K.** (1981). *kartuli literaturis istoria. II*. Tbilisi: „Metsniereba“ [History of Georgian Literature. II. Tbilisi; „Mecniereba“].
- Kiknadze, Z.** (2001). *kartuli khalkhuri eposi*. Tbilisi: “logos presi”. [Georgian Folk Epic. Tbilisi: “logos presi”].
- Mysyk, V.** (1990). *Zakhid i skhid. Pereklady*. Kyiv Dnipro. [East and West. Translations. Kyiv Dnipro].
- Chikovani, M.** (1947). „Mijach'vuli amirani“, Tbilisi: Stalinis sakhelobis tbilisis sakhelmtsipo universitetis gamomtsemloba. [“Chained Amirani” Tbilisi: Stalin Tbilisi State University Press].
- Khalimonenko, G.** (2020). *Kartuli literaturis istoria*, Kievi. [History of Georgian Literature. Kyiv].





ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ  
სტალინურ ეპოქაში  
(მეოცე საუკუნის 30-იანი წლები)

THE STRUGGLE AGAINST FORMALISM IN STALIN'S EPOCH  
(30S OF THE 20<sup>TH</sup> CENTURY)

ნინო წერეთელი  
Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები :** ბრძოლა, ფორმალიზმი, ვიქტორ შკლოვსკი.  
**Keywords:** Victor Shklovsky, Formalism, struggle.



1933 წლის 5 იანვარს გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა ვიქტორ შკლოვსკის სტატია „სამხრეთ-დასავლეთი“. როგორც ავტორი წერს, სამხრეთ-დასავლეთი“ ებაგრიცკის ერთ-ერთი წიგნის სათაურია, ხოლო „სამხრეთ-დასავლეთი“ გეოგრაფიულად ოდესაა. ავტორს სურს, რომ შეეხოს სწორედ სამხრეთ - დასავლეთის ლიტერატურულ სკოლას „რომლის ტრადიციები გაურკვეველია. საკითხის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთ-დასავლეთის სკოლა - ეს რუსული ლიტერატურის სკოლაა, რომელიც აღმოცენდა უკრაინის ტერიტორიაზე. აქ ბევრი რამ იმით აიხსნება, რომ ოდესა საპორტო ქალაქია. განსაკუთრებით რთულია უკრაინული და რუსული კულტურის ურთიერთმიმართების საკითხი“ (Шкловский,1990 :470).

სტატია გამოქვეყნდა სსრკ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის აქტიური მუშაობისა და მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობის (1934 წ.) მზადების პერიოდში. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ვიქტორ შკლოვსკი ერთიანი და განუყოფელი საბჭოთა ლიტერატურის გახლეჩის მომხრედ და სოციალისტური რეალიზმის მოწინააღმდეგედ აღიარეს. კრიტიკოსთა აზრით, სტატიის ავტორი შეეხო იმ მწერლებს, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის ერთი საერთო გზით მიდიან. დაიწყო ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ, რომელიც არა მხოლოდ ლიტერატურას შეეხო, არამედ ხელოვნების სხვა დარგებზეც გავრცელდა და მრავალი შემოქმედის ბედზე ტრაგიკულად აისახა.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დადგმული გახმაურებული სპექტაკლები: „In Tirranos!“ (პრემიერა შედგა 1933 წლის 9 თებერვალს) „ლამარა“ და „თეთნულდი“. აღნიშნული სპექტაკლებით დასი მოსკოვსა და ლენინგრადს 1933 წლის ზაფხულში ეწვია. „მაგრამ მოსკოვის პრესა ამჯერად თეატრის ნამუშევრებს კრიტიკულად მიუდგა და მის დიდ მიღწევებთან ერთად აღნიშნავდა ეთნოგრაფიული ეგზოტიკისა და ფორმალიზმისკენ გადა-

ხრას, რომელიც გამოვლინდა სპექტაკლებში - „ ლამარა“ და“ თეთნულდი“ (Февральский, 1959: 167).

მწვავე დისკუსია ვიქტორ შკლოვსკის აღნიშნულ სტატი-ასთან დაკავშირებით დაიწყო გაზეთ „იზვესტიაში“ და გაგრძე-ლდა მრავალ პერიოდულ გამოცემაში, რომელთა შორის მოწი-ნავა „ლიტერატურნაია გაზეთა“. მოწოდება - „გავაძლიეროთ ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ“ საოცარ მასშტაბებს იძე-ნს და ამხელს ყველას, ვისაც სურს, რომ „თვალი დასავლეთს მიაპყრონ და იამაყონ წარსულის შეცდომებით.“

1933 წლის 29 აპრილს ვ. შკლოვსკიმ ამავე გაზეთში გამო-აქვეყნა სტატია სათაურით „წერილი რედაქციას“, რომელშიც თავის სტატია „სამხრეთ-დასავლეთს“ უწოდა „მავნე და არა-სწორი“. ამ სტატიის გამოქვეყნებამაც არ შეანელა იმ მწვავე, კრიტიკული პუბლიკაციების გამოჩენა, რომლებშიც ტენდენ-ციურად განიხილავდნენ ვიქტორ შკლოვსკის სამეცნიერო და ლიტერატურულ საქმიანობას, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებ-დნენ არა მხოლოდ მის ორიგინალურ შემოქმედებას - პროზას თუ ესეისტიკას, არამედ იმ ნაშრომებსაც, რომლებიც კინო-მცოდნეობის საკითხებს ეძღვნებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს პუბლიკაციები სწორედ 1933 წელს ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნდებოდა. ვიქტორ შკლოვსკი ამ სტატიის გამოსვლიდან სულ რამდენიმე დღეში ოსიპ ბრიკს პირად წერილში სწერდა: „ძვირფასო ოსია! ვიცი, რომ გაცხარდი ლიტერატურნაია გაზე-თაში ჩემი წერილის წაკითხვის შემდეგ ..... ამგვარი მომხამვის კიდევ რამდენიმე კვირაც და სიცოცხლის ძალა წამერთმე-ვა. მე თვითონ სიცოცხლით სავსე რომ არ ვიყო, უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი. ჩემთან არავის დაურეკავს“ (Галушкин, 1993: 29), საინტერესოა, რომ ამ ძალზე რთულ პერი-ოდში ვიქტორ შკლოვსკი თბილისშიც აგზავნის წერილს. წე-რილი თარიღდება 1933 წლის 1 ივნისით და მისი ადრესატია თბილისელი ლიტერატურათმცოდნე გ. ბებუთოვი. შკლოვსკი წერს: „მე, რასაკვირველია, დავიბენი და ახლა, რა არის კარგი, აღარც ვიცი“ (Бенутов, 1985: 15). ფორმალიზმის წინააღმდეგ

მკაცრი ბრძოლა მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. ტოტალიტარულ ქვეყანას ერთიანი იდეოლოგია წარმართავდა. მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავეთ გაჩაღდა დისკუსია „ფორმალისტებისა და ნატურალიზმის“ წინააღმდეგ“ .

### **ლიტერატურა:**

- ბებუტოვი, გ.** – Bebutov, G. ( 1985 ).Vstrechi na vsyu zhizn'. Literaturnaya Gruzia 8,15 [Бебутов, Г. Встречи на всю жизнь. Литературная Грузия ].
- გალუშკინი, ა.** – Galushkin, A.(1993). V.B. Shklovskiy o sud'be russkogo avangarda nachala 1930-kh gg. DE VISU 11, 29 [Галушкин, А. Шкловский В.Б. о судьбе русского авангарда начала 1930-х гг. DE VISU 11, 29].
- ფევრალსკი, ა.** – Fevral'skiy, A. (1959). [Февральский, А. Театр им. Шота Руставели, Москва: „Искусство“]
- შკლოვსკი, ვ.** - Shklovskiy, V .( 1990). Gamburgskiy schet, Moskva: „Sovetskiy pisatel'“. [Шкловский, В. Гамбургский счет, Москва: „Советский писатель“].

Viktor Shklovsky's article “The South-West” appeared in “Literaturnaya Gazeta” on January 5, 1933. As the author writes, “South-West” is a title of one of E. Bagritsky's books, and geographically “South-West” is Odessa. The author considers the South-West literary school, the traditions of which are obscure. “The complexity of the issue lies in the fact that the South-West School is a school of Russian literature realized on Ukrainian territory. Much can be explained by the fact that Odessa is a seaport. Particularly difficult is the issue of the relationship between Russian and Ukrainian cultures (Shklovsky, 1990:470).

The article came out in a time of the active work of the Organizing Committee of the Writers' Union of the USSR and preparation

for the First Congress of the Soviet Writers convened in 1934. After the publication of this article, Viktor Shklovsky was recognized as a supporter of the division of a single, indivisible Soviet literature and an opponent of Socialist Realism. According to critics, the author of the article was referring to those writers who followed a single, common path in Soviet literature. The campaign against formalism was launched, and it affected not only literature, but also other areas of art and tragically reflected in the fate of many creative figures.

The sensational performances staged at the Rustaveli Theatre: "In Tirranos! (the premiere was held on February 9, 1933) "Lamara" and "Tetnuldi" can be cited as an example. With these performances the troupe visited Moscow and Leningrad in the summer of 1933. "However, this time the Moscow press critically assessed the work of the theatre and, along with its great achievements, noted a tendency towards ethnographic exoticism and formalism manifested in the plays "Lamara" and "Tetnuldi" ( Fevralsky, 1959:167 ).

A heated discussion about Viktor Shklovsky's article broke out in the newspaper "Izvestia" and continued in many periodicals, among which "Literaturnaya Gazeta" was particularly distinguished. The call to "intensify the fight against Formalism" takes on an astonishing scale and exposes all those who are subject to the "noxious" influence of the West.

On April 29, 1933, V. Shklovsky published an article in the same newspaper titled "A Letter to the Editor" in which he retracted his article "The South-West" calling it "harmful and incorrect". However, even the publication of this article did not prevent the emergence of sharp, critical publications in which Viktor Shklovsky's scientific and literary activities were discussed. Not only his original works - prose or essays - but also his works dedicated to the issues of film studies were criticized. It is noteworthy that these letters were published one after another in 1933. Viktor Shklovsky, just a few days after his publication, wrote a personal letter to Osip Brick: "Dear Olya! I know that you became angry after reading my letter in Literaturnaya Gaze-

ta ... A few more weeks of this kind of bullying and the vitality will leave me. If I myself were not full of life, I would have been dead a long time ago. Nobody calls me" (Galushkin, 1993:29). It is interesting to note that during this very difficult period for Viktor Shklovsky, he also sent a letter to Tbilisi. The letter dated June 1, 1933 and is addressed to the literary critic G. Bebutov. He writes: "Of course, I am confused and now I don't even know what is good." (Bebutov, 1985:15). A fierce struggle against Formalism was going on throughout the Soviet Union. A single ideology reigned in a totalitarian country. After the First Congress of Soviet Writers, the discussion "Against Formalism and Naturalism" became especially acute.

### References:

- Bebutov, G.** ( 1985 ). Vstrechi na vsjiiu zizn'. Literaturnajia Gruzjia . 8, 15 [Meetings throughout life, Literaturnaya Gruzia, 8,15].
- Galushkin, A.** (1993) V. B. Shklovsky o sud'be russkogo avangarda nachala 1930-ch gg. DE VISU. 11,29. [V. B. Shklovsky on the fate of the Russian avant-garde. DE VISU 11, 29].
- Fevralsky, A.** (1959). Teatr im Shota Rustaveli, Moskva: „Iskusstvo“ [The Rustaveli Theatre, Moscow: "Iskusstvo"].
- Shklovski, V.** ( 1990). Gamburgskiy schet, Moskva: „Sovetskiy pisatel““. [The Hamburg Score, Moscow: „Sovetski Pisatel“].





წმ. მარკოზ მახარებლის წირვის  
ტერმინოლოგიური კვლევა  
TERMINOLOGICAL RESEARCH OF THE LITURGY  
OF ST. MARK THE EVANGELIST

მარია ჭითანავა-ლობჯანიძე  
Marika Tchitanava-Lobzhanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მარკოზი, ლიტურგია, ალექსანდრია.

**Key words:** Mark, liturgy, Alexandria.



წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის ლიტურგია აღმოსავლური ეკლესიის ერთ-ერთი ტრადიციული მსახურებაა, რომელიც დღემდე აღევლინება როგორც ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ ზოგიერთ ტაძარში, ისე ელადისა და ამერიკის ეკლესიებში.

აღნიშნული ლიტურგია მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლიტურგიკული ძეგლია როგორც თავისი სტრუქტურით, ისე – სახასიათო ლოკალური საღმრთისმსახურო პასაჟებით.

წმ. მარკოზის წირვა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშივე მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის კოპტურად, სირიულად, არაბულად, ლათინურად (Fr. J. Shaw, 1998). მსახურების სხვადასხვა ხელნაწერის თანამედროვე ევროპულენოვანი თარგმანებიც მოგვეპოვება, თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩვენამდე არ მოღწეულა ლიტურგიის ქართული თარგმანი, რაც ეჭვს ბადებს იმის შესახებ, რომ შეიძლება ჩვენს ენაზე არც არასოდეს შესრულებულა გარკვეული მიზეზების გამო.

წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის წირვის ჩვენს ხელთ არსებული ძველი ბერძნული (Φουστιαλη, I.M., 1970), ლათინური (D. Martini infigni, M.D. LXXXIII), ინგლისური, ესპანური (Savnchez Caro, J.M., 1983, 142-152), იტალიური (<http://traditiomarciana.blogspot.com>) და რუსული (<http://www.odinblago.ru>) თარგმანების კვალობაზე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

ა) წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგია ერთდროულად საინტერესო და აუცილებელია მისი როგორც საღვთისმსახურო და თეოლოგიური კუთხით და მთელი რიგი თავისებურებებით, ისე მასში გამოყენებული უძველესი ლიტურგიკული ტექსტებით, რომელთა თარგმანები და მათში განსხვავებული შინაარსი დიდ როლს თამაშობს საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიური კვლევისა და ფართო ანალიზისათვის. წმ. პეტრე მოციქულის მოწაფის საზოგადო მსახურება კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველადღებულს სიბრძნის და მასში გადმოცემული დაფარული აზრის მნიშვნელოვნებას ახალი წელთაღრი-

ცხვის ხანაში. იგი საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ამა თუ იმ ენის ფარგლებში ცნებათა არსის სიღრმე, რაც ერთგვარად ეხმარება როგორც ენათმეცნიერების კონკრეტული დარგების, ისე თეოლოგიისა და საკუთრივ პირველსაუკუნოვანი ღმრთისმსახურების მიმართულების განვითარებას.

ბ) წმიდა მოციქულისა და მახარებლის, მარკოზის, სრული ლიტურგია, კერძოდ, შეწირვის პროცესის ორი უმნიშვნელოვანესი „საიდუმლო“ სავედრებელი საინტერესო ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც ვხვდებით უმდიდრეს ტერმინოლოგიურ მასალას;

გ) ლექსიკონზე ერთი შეხედვით დაკვირვება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თითოეულ ენაზე შესრულებული თარგმანი სხვადასხვა ხელნაწერზე დაყრდნობითაა გადამუშავებული;

დ) კონკრეტული ცნებები თარგმანის სამგვარი ხერხითაა წარმოდგენილი: 1. ზუსტი თარგმანი; 2. ჰენდიადაისი; 3. თავისუფალი თარგმანი;

ე) მარკოზ მახარებლის საღმრთისმსახურო ტექსტი მოიცავს როგორც ყოვლადწმიდა სამების თითოეულ ჰიპოსტასთან დაკავშირებულ დოგმატურ, ისე ყოფითი რეალობის ამსახველ ცნებებს, რომლებიც, თავის მხრივ, წინარეჟრისტიანული აზროვნების საკრალიზაციას ახდენს ლიტურგიკაში;

ვ) ტერმინების მთელი სისავსით გადმოცემა ყველაზე უკეთ ძველბერძნულ ენას ახასიათებს, რომელიც ანტიკური ფილოსოფიიდან იღებს ტრანსცენდენტური სამყაროსთვის დამახასიათებელ სალექსიკონო ფორმებს და შესანიშნავად არგებს თეოლოგიური ჟანრის ამსახველ ცნებებს. მას არ ჩამოუვარდება ლათინურიც, რომელიც ხშირ შემთხვევაში საფუძველი ხდება მისგან აღმოცენებული იდიომატებისათვის, სულ მცირე სინონიმებად გამოაყენებინოს თავისი ლექსიკური ერთეულები ლიტურგიკული ტექსტების თარგმნის საქმეში.

## ლიტურატურა:

- წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის საღმრთო ლიტურგია – Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci, Parisiis, Apud Ambrosium Drovard, via Iacobaeas, fub D. Martini infigni, M.D. LXXXIII;
- ჩვენი წმინდა მამის მარკოზ მახარებლის საღმრთო ლიტურგია – La Divina Liturgia del nostro Padre tra Santi l’Evangelista Marco, <http://traditionmarciana.blogspot.com/2018/05/la-divina-liturgia-di-san-marco.html>
- Liturgiya sv. apostola i yevangelista Marka – Литургия св. апостола и евангелиста Марка, [http://www.odinblago.ru/drevn lit3/3](http://www.odinblago.ru/drevn_lit3/3)
- სანჩეზ კარო, ხ.მ. – Savnchez Caro, J.M. (1983). Eucaristia e Historia de la Salvacion. Madrid: B.A.C.
- შო, ი. – Shaw, J. (1997). Archpriest. Liturgy of St. Mark. Russian Orthodox Church Outside Russia.
- ფუმდული, ი.მ. – Φουντούλη. I.M. (1970). Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου. Θεσσαλονίκη. 1970.

The Liturgy of the Saint Mark the Evangelist is one of the traditional services of the Eastern Church, which is still performed in some temples under the Patriarchate of Alexandria and the whole of Africa, as well as in the churches of Greece and America.

This liturgy is a remarkable and important liturgical text in many ways, both in its structure and in its characteristic local liturgical passages.

St. Mark’s liturgy was translated into many languages in the first centuries of Christianity, including Coptic, Syriac, Arabic, and Latin (Fr. J. Shaw, 1998). Modern European translations of various service manuscripts are also available, although it is noteworthy that the Georgian translation of the liturgy has not yet been reached, which raises the suspicion that it may never have been performed in our language for some reason.

The available translations of the liturgy of St. Peter the Apostle's disciple in Ancient Greek (Φουντούλη, I.M., 1970), Latin (D. Martini infigni, MD LXXXIII), English, Spanish (Savnech Caro, JM, 1983, 142-152), Italian (<http://traditionarciana.blogspot.com>) and Russian (<http://www.odinblago.ru>) can be distinguished as follows:

A) The Liturgy of St. Mark the Evangelist is both interesting and necessary in terms of its liturgical and theological aspects and a number of features, as well as the ancient liturgical texts used in it, the translations and content of which play a major role in theological terminological research and analysis. The public ministry of St. Peter the Apostle's disciple reaffirms the importance of Old Testament wisdom and the hidden thought conveyed in it in the New Age. It allows us to consider the depth of the essence of the concepts within this or that language, which in a way helps to develop the specific fields of linguistics, as well as theology, and the direction of the first-century worship itself. B) The complete liturgy of the Holy Apostle and Mark the Evangelist, in particular, the two most important "secret" prayers of the sacrificial process are an interesting part, where we find the richest terminological material;

C) A look at the dictionary gives us reason to think that the translation in each language is based on different manuscripts;

D) Specific concepts are presented in three ways of translation: 1. Accurate translation; 2. Hendiadis; 3. Free translation;

E) The liturgical text of Mark the Evangelist includes both dogmatic and everyday concepts related to each hypostasis of the All-Holy Trinity, which, in turn, sacralize pre-Christian thought in the liturgy;

F) The full expression of the terms best characterizes the ancient Greek language, which takes from the ancient philosophy the lexical forms characteristic of the transcendental world and perfectly fits them to the concepts of the theological genre. It is not inferior to Latin, which often becomes the basis for idioms derived from it, at least it allows to use its lexical units as synonyms in the translation of liturgical texts.

## References:

- Divine Liturgy of Saint Apostle and Evangelist Mark – Divina Liturgia Sancti Apostoli et Euangelistae Marci, Parisiis, Apud Ambrosium Drovard, via Iacobaes, fub D. Martini infigni, M.D. LXXXIII.
- Divine Liturgy of Our Father Saint Apostle and Evangelist Mark – La Divina Liturgia del nostro Padre tra Santi l'Evangelista Marco, <http://traditio-marciana.blogspot.com/2018/05/la-divina-liturgia-di-san-marco.html>
- Divine Liturgy of Saint Apostle and Evangelist Mark – Литургия св. апостола и евангелиста Марка, [http://www.odinblago.ru/drevn\\_lit3/3](http://www.odinblago.ru/drevn_lit3/3)
- Savnchez Caro, J.M. (1983). Eucaristia e Historia de la Salvacion, Madrid: B.A.C., 142-152.
- Shaw, J., Archpriest (1997). Liturgy of St. Mark, Russian Orthodox Church Outside Russia.
- Funduli, I. M. – Φουντούλη, I.M. (1970). Θεία Λειτουργία του Αποστόλου Μάρκου, Θεσσαλονίκη.





## სარჩევი

## Contents

მარინე ალექსიძე კომიკურის ენობრივი საშუალებების ქართულად თარგმანის ზოგიერთი ასპექტი ..... 3 Marine Aleksidze Some Aspects of the Translation of the Linguistic Means of the Comic into Georgian..... 3	
მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია ტექსტის რეცეფცია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია..... 11 Marina Andrazashvili, Natalia Basilaia Perception of the Text and the Interpretation ..... 11 of the Translator	
ლევან ბებურიშვილი ვაჟა-ფშაველას 1880-1890-იანი წლების პუბლიცისტიკა..... 19 Levan Beburishvili Vazha-Pshavelas' Journalism in the 1880s-1890s..... 19	
მზია ბურჯანაძე ფარიბა ვაფის ბრმა და თვალხილული ჩიტები..... 29 Mzia Burjanadze Fariba Vafi's Blind and Sighted Birds..... 29	

დარეჯან გარდავაძე	
ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ ახალი სიცოცხლე, როგორც ჰიპოტექსტისა ჰიპერტექსტისათვის მათიას ენარის რომან „კომპასში“ .....	37
Darejan Gardavadze	
The New Life of Ameen Rihani’s “Juhan” as a Hypotext for the Hypertext in Mathias Enard’s Novel “Compass” .....	37
ნანა გაფრინდაშვილი	
ფასეულობაშეცვლილი სამყაროს იდეურ-ესთეტიკური გამოძახილი: გალაკტიონ ტაბიძის „პარალელური“ ტექსტები.....	41
Nana Gaprindashvili	
Ideological-aesthetic Echo of the Value-changed World: Galaktion Tabidze’s “Parallel” Texts .....	41
მანანა გელაშვილი	
„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი .....	55
Manana Gelashvili	
A Comparative analysis of the English Translations of The Knight in the Panther’s Skin.....	55
ივანე მჭედელაძე	
მხატვრული თარგმანი, როგორც შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემა: ქართულ-უკრაინული პროფილი.....	63

Ivane Mchedeladze	
Literary Translation, as a Problem of Comparative Literature: A Georgian-Ukrainian Case .....	63
ეკატერინე ნავროზაშვილი	
აბრაამ მამისტვალოვის ერთი თარგმანის შესახებ .....	71
Ekaterine Navrozashvili	
About One Translation by Abraam Mamistvalov .....	71
ნინო ნასყიდაშვილი	
პოეტური თარგმანის კონცეფციები თანამედროვე ქართულ და უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში .....	79
Nino Naskidashvili	
Concepts of Poetic Translation in Modern Georgian and Ukrainian Literary Studies .....	79
ნინო პოპიაშვილი	
ევროპა, როგორც სახე და სიმბოლო თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებში .....	85
Nino Popiashvili	
Europe as a Face and Symbol in Contemporary Literary Texts.....	85
მანანა რუსიეშვილი და სოფიო თოთიბაძე	
ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“ ქართულად.....	91
Manana Rusieshvili & Sopio Totibadze	
A Study of “Mrs. Dalloway” by Virginia Woolf in Georgian .....	91

მარიამ ფილინა შოთა რუსთაველის პირველი პოლონელი მკვლევარი და მთარგმნელი.....	97
Maria Filina The First Polish Researcher and Translator of Shota Rustaveli’s Poem .....	97
თეა შურღაია მარინა ცვეტაევის ერთი ლექსის მასკულინური თარგმანი.....	105
Tea Shurgaia A Masculine Translation of One Poem by Marina Tsvetaeva .....	105
ნათია ჩანტლაძე XVIII ს-ის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ერთი ახალი ეპიზოდი.....	113
Natia Chantladze One New Episode of Georgian-Armenian Literary Relationships in XVIIIc.....	113
სოფიო ჩხატარაშვილი „ამირანდარეჯანიანის“ უკრაინული თარგმანის შესახებ.....	119
Sophio Chkhatarashvili About the Ukrainian Translation of “Amiran-Darejaniani” .....	119
ნინო წერეთელი ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ სტალინურ ეპოქაში (მეოცე საუკუნის 30-იანი წლები).....	127

Nino Tsereteli  
The Struggle against Formalism in Stalin’s Epoch  
(30s of the 20<sup>th</sup> century)..... 127

მარია ტიტანავა-ლობჯანიძე  
ნმ. მარკოზ მახარებლის წირვის ტერმინოლოგიური  
კვლევა..... 135  
Marika Tchitanava-Lobzhanidze  
Terminological Research of the Liturgy of St. Mark the  
Evangelist..... 135





უნივერსიტეტის  
გამომცემლობა